საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბრძოლის გაწევა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 31 მაისი. 2017 წ. №108 (8245), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

პოლონეთის პრეზიდენტმა დაადასტურა პოლონეთის უპირობო მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და მისი ტერიტორიული მთლიანობისადმი

გიორგი კვირიკაშვილმა ანდჟეი დუდას მთავრობის ადმინისტრაციაში უმასპინძლა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა თბილისში ვიზიტით მყოფ პოლონეთის პრეზიდენტს ანდჟეი დუდას მთავრობის ადმინისტრაციაში უმასპინძლა.

მხარეებმა საქართველო-პოლონეთის მეგობრული ურთიერთობების ძირითადი საკითხები განიხილეს. ყურადღება გამახვილდა ვაჭრობის, ეკონომიკის, ტრანსპორტის, ტურიზმის, განათლების, კულტურის სფეროებში თანამშრომლობის კუთხით არსებულ მზარდ დინამიკაზე, ასევე ორ ქვეყანას შორის არსებულ საინვესტიციო პოტენციალსა და ერთობლივი ბიზნეს-ფორუმის გამართვის აუცილებლობაზე.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა პოლონეთის „განვითარების დახმარების პროგრამის“ მნიშვნელობას, რომლის პრიორიტეტულ მიმართულებებს წარმოადგენს: ეკონომიკური ზრდა, კანონის უზენაესობა, ეფექტური მმართველობა, ეროვნული რესურსების მდგრადობა, სოციალური კეთილდღეობა და განათლება.

გიორგი კვირიკაშვილმა პოლონეთის პრეზიდენტის ვიზიტი საქართველოს მხარდაჭერის გამოხატულებად შეაფასა და იმედი გამოთქვა, რომ იგი ხელს შეუწყობს საქართველოსა და პოლონეთს შორის ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესებს და აღინიშნა, რომ პოლონეთი აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს ევროკავშირში და ნატოში ინტეგრაციას, რაც მუდმივად ფიქსირდება ყველა შეხვედრაზე.

მხარეებმა ყურადღება გაამახვილეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებაზე. პოლონეთის პრეზიდენტმა დაადასტურა პოლონეთის უპირობო მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და მისი ტერიტორიული მთლიანობისადმი.

ქილ დე ლა ტურეტის სინდრომი, ანუ ბოდიში არა... კვატი!

4

საქართველო მიუიზმით და ბენდუქიზმით დაავადებული კონსტიტუციით ველარ ივლის

6

მიწით ვაჭრობა ქვეყნის ღალატის ტოლფასია!

„რუსეთის ჯავახქის დიასპორა“ შორს იყურება

რა იგეგმება მოსკოვში საქართველოს წინააღმდეგ

5

„პატრიოტთა ალიანსი“ მოსკოვში წასვლას და რუს დეპუტატებთან შეხვედრას ითხოვს

ამის შესახებ განცხადება პარტიის წევრმა ადა მარშანიამ პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის სხდომაზე გააკეთა. მარშანია გამოეხმაურა საპარლამენტო უმრავლესობის ინიციატივას, რომ პარლამენტმა ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით რეზოლუცია უნდა მიიღოს. იგი მიიჩნევს, რომ რეზოლუციებისა და განცხადებების დრო უნდა დასრულდეს.

მარშანიას ინიციატივას საპარლამენტო ოპოზიცია არ იზიარებს. „ენმ“-ს ერთ-ერთი ლიდერის რომან გოცირიძის თქმით, საპარლამენტო დელეგაციის მოსკოვში ვიზიტი ძალიან ცუდი სიგნალი იქნება, ხოლო „ევროპული საქართველოს“ წევრის თენგიზ გუნავას განცხადებით, კარასინი-აბაშიძის ფორმატს შედეგი არ მოუტანია, შესაბამისად არც საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი.

რაც შეეხება მმართველი გუნდის პოზიციას, განცხადება საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გედევან ფოფხაძემ გააკეთა:

„ადა მარშანია რუსეთში წასვლაზე გადაწყვეტილებას თუ მიიღებს, შეიძლება, შევთავაზო წამოგყვები-მეთქი, მისი პიროვნებიდან გამომდინარე“.

ერთადერთი გზა გვაქვს – ჭეშმარიტად ეროვნული, დიპლომატისა და ლიდერის ნიჭით დაჯილდოებული ადამიანის ირგვლივ გაერთიანება!

5

სუიციდამდე დატოვებული წერილი

11

სად გაქრა დიდი მწერლის მემორიალური დაფა?

12

„ჩვენ ხაზს ვუსვამთ ნატოს ღია კარის პოლიტიკის გაგრძელების მნიშვნელობასა და საქართველოს ნატოში გაწევრიანების პროცესში შემდგომი ნაბიჯის აუცილებლობას“

პოლონეთის პრეზიდენტის სახელმწიფო ვიზიტის ფარგლებში, გიორგი მარგველაშვილმა და ანდჟეი დუდამ პირისპირ და გაფართოებული შეხვედრების შემდეგ, ერთობლივ დეკლარაციას მოაწერეს ხელი.

„საქართველოსა და პოლონეთის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენიდან 25 წლისთავის აღსანიშნავად, ჩვენ – საქართველოსა და პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტები ხელს ვაწერთ ერთობლივ დეკლარაციას:

2017 წელს საქართველოსა და პოლონეთის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენიდან 25 წლისთავი აღინიშნება. ჩვენ ვზეიმობთ ამ ღირსშესანიშნავ იუბილეს და ვამაყობთ წარმატებული ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობით.

წლების მანძილზე მხარეთა შორის ჩამოყალიბებული დინამიკური ურთიერთობები მოიცავს თანამშრომლობის ფართო სპექტრს და არ შემოიფარგლება მხოლოდ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, უსაფრთხოებისა და თავდაცვის, კულტურისა და განათლების საკითხებში, ხალხთაშორისი კავშირებითა და საერთაშორისო ორგანიზაციებში ნაყოფიერი თანამშრომლობით.

ქართულ-პოლონური კავშირები არა მხოლოდ 25 წელს, არამედ ასწლეულებს ითვლის და მდიდარია თავისი ისტორიითა და ტრადიციებით. პოლონელები და ქართველები ყოველთვის იდგნენ ერთმანეთის გვერდით, როგორც კეთილდღეობის, ასევე განსაცდელის პერიოდში. პოლონეთი იმ მცირერიცხოვანი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, რომელთანაც საქართველომ დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა, რუსეთის იმპერიისგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ. რთულ პერიოდში, ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგაც, ქართველი და პოლონელი ჯარისკაცები ერთმანეთის მხარდამხარ იბრძოდნენ მეორე მსოფლიო ომში პოლონეთის რესპუბლიკის დასაცავად. ჩვენი გამოცდილება, თავისუფლებისა და ღირსების საერთო იდეალები წარმოადგენს იმ მყარ საფუძველს, რომელიც აერთიანებს ჩვენს მოძმე ხალხს და გვიბიძგებს ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებისაკენ.

ჩვენი ქვეყნების ერთობლივი ურთიერთობების საამაყო ისტორიის 100 წლის აღსანიშნავად პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი და საქართველოს პრეზიდენტი გამოთქვამენ მზადყოფნას გაუწიონ პატრონაჟი ისტორიკოსებით დაკომპლექტებული პოლონურ-ქართული კომისიის საქმიანობას.

საქართველო განსაკუთრებულად აფასებს განვითარებისა და დემოკრატიული ტრანსფორმაციის პროცესში პოლონეთის რესპუბლიკის პოლიტიკურ და პრაქტიკულ დახმარებას.

ვაცნობიერებთ რა, რომ ეკონომიკური თანამშრომლობა წარმოადგენს მამოძრავებელ ძალას ჩვენს შორის ურთიერთობების დინამიკური განვითარებისთვის, ვხედავთ ამ კუთხით არსებული პოტენციალის ფართო გამოყენების აუცილებლობას. შესაბამისად, ჩვენ უზრუნველვყოფთ ვაჭრობისა და ინვესტიციების ზრდისთვის ურთიერთხელსაყრელი პირობების შექმნას და მოვუწოდებთ ჩვენს მთავრობებსა და ინსტიტუტებს, გააძლიერონ მუშაობა ამ მიზნის მისაღწევად. ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებისა და განხორციელების მიზნით პოლონეთი და საქართველო გამოიყენებენ ყველა იმ არსებულ მრავალმხრივ მექანიზმს, რომლებიც გააძლიერებენ რეგიონალურ კავშირებს და ასევე ჩვენს უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას.

საქართველო და პოლონეთი კიდევ ერთხელ ადასტურებენ პატივისცემას საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების, სუვერენიტეტსა და ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ურღვევობის, ასევე ერთიანი, თავისუფალი და მშვიდობიანი ევროპის საერთო ხედვის მიმართ. პოლონეთი მხარს უჭერს საქართველოს მთავრობის ძალისხმევას, რომელიც მიზნად ისახავს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას. ამ მიმართებით, ორივე ქვეყანა მნიშვნელოვან ნაბიჯებად განიხილავს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატში ხელშესახები შედეგების მიღწევის აუცილებლობას, მათ შორის, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეულ დაბრუნებას, ისევე როგორც 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესრულებას. საქართველო და პოლონეთი ხაზგასმით აღნიშნავენ საერთაშორისო თანამეგობრობის ერთიანი ძალისხმევის მნიშვნელობას საქართველოს რეგიონის – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპაციისა და მათი ანექსიისაკენ მიმართული ნაბიჯების წინააღმდეგ, რათა უზრუნველყოფილი იქნას მშვიდობა და უსაფრთხოება.

პოლონეთი მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს მისწრაფებებს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების კუთხით.

საქართველო აფასებს ევროინტეგრაციის ამბიციური დღის წესრიგის განხორციელების პროცესში პოლონეთის მტკიცე მხარდაჭერას და ინიციატივებს, რომლებიც მიზნად ისახავენ ევროკავშირთან საქართველოს პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავებას. ორივე მხარე ხაზს უსვამს, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმება არ წარმოადგენს ევროკავშირთან საქართველოს თანამშრომლობის საბოლოო მიზანს. აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივაში პოლონეთის რესპუბლიკის განსაკუთრებული წვლილისა და როლის გათვალისწინებით, ჩვენ კვლავ ერთგული ვრჩებით სრულყოფილად შევისწავლოთ ამ ინიციატივის პოტენციალი და უზრუნველვყოთ ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობების შემდგომი პროგრესული განვითარება. ამ კუთხით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღმოსავლეთ პარტნიორობის მომავალი სამიტი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს პრაქტიკული შედეგები, ევროპული შეთავაზება და სამომავლო ხედვა ევროკავშირისა და აღმოსავლეთ ევროპელი პარტნიორების, მათ შორის, საქართველოს დაახლოების კუთხით, რომელიც დამყარებული იქნება ქვეყნების ინდივიდუალურ მიღწევებსა და ინტერესებზე.

ჩვენ ხაზს ვუსვამთ ნატოს ღია კარის პოლიტიკის გაგრძელების მნიშვნელობასა და საქართველოს ნატოში გაწევრიანების პროცესში შემდგომი ნაბიჯის აუცილებლობას. საქართველო განსაკუთრებით აფასებს პოლონეთის მიერ საქართველოს ნატოში გაწევრიანების მხარდასაჭერად გაწეულ ძალისხმევას. პოლონეთი აფასებს საქართველოს მნიშვნელოვან წვლილს საერთო ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაში, განსაკუთრებით საქართველოს ავღანეთში ნატოს მისიებში მონაწილეობას. ორივე ქვეყანა გამოთქვამს მზადყოფნას, ითანამშრომლოს ევროატლანტიკური უსაფრთხოების განსამტკიცებლად ვარშავის სამიტის გადაწყვეტილების შესაბამისად

საქართველო და პოლონეთი აღიარებენ შავი ზღვის რეგიონის მნიშვნელობას საერთო ევროატლანტიკური უსაფრთხოებისათვის. საქართველო მიესალმება ნატოს ყოფნას შავი ზღვის რეგიონში და გამოთქვამს მზადყოფნას, ხელი შეუწყოს მოკავშირეთა ძალისხმევას ამ კუთხით. პოლონეთი აღიარებს საქართველოს აქტიური ჩართულობის მნიშვნელობას შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში.

ჩვენ გვჯერა, რომ საქართველოსა და პოლონეთის მრავალწლიანი მეგობრობა, რომელიც დამყარებულია ურთიერთპატივისცემაზე, საერთო ხედვებსა და ინტერესებზე, ქმნის დამაიმედებელ საფუძველს ჩვენი თანამშრომლობის გადასვლისათვის იმ ხარისხობრივად ახალ ეტაპზე, რომელიც სრულად უპასუხებს ჩვენი განსაკუთრებული მეგობრობის მდიდარ ტრადიციებს. ერთიანი ძალისხმევით, ჩვენ უზრუნველვყოფთ ჩვენი ხალხების მშვიდობიან, უსაფრთხო და წარმატებულ მომავალს.

ვისსსენებთ პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის მიერ, 2008 წლის 12 აგვისტოს თბილისში, წარმოთქმულ სიტყვებს: „ჩვენ აქ ვართ, რათა დაგიდასტუროთ ჩვენი თანადგომა“, ჩვენ ხელს ვაწერთ ერთობლივ დეკლარაციას, რათა დავადასტუროთ პოლონეთ-საქართველოს ურთიერთთანადგომის სიმტკიცე.

გზავნილი, რასაც ერთ დღეს ალიანსის წევრობა მოჰყვება

რადიო „ამერიკის ხმის“ ქართული სამსახურის ხელმძღვანელ ანა კალანდაძესთან აშშ-ის Heritage Foundation-ის საერთაშორისო კვლევების ცენტრის დირექტორი ლუკ კოფი საუბრობს.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ამ ინტერვიუს:

— ამერიკის ხმა“: როგორ ხედავთ ტრანსატლანტიკური თანამეგობრობის მომავალს ევროკავშირისა და ნატოს ლიდერებთან პრეზიდენტ დონალდ ტრამპის შეხვედრის შემდეგ?

ლუკ კოფი: მომავალს სიფრთხილითა და ოპტიმიზმით ვუყურებ. შეშფოთებული ვიყავი იმით, რაც წინასაარჩევნო კამპანიისას მესმოდა. მაგრამ პრეზიდენტ ტრამპის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ვხედავთ, რომ მისი ზოგიერთი შეხედულება შერბილდა, სხვა შეხედულებები კი დაიხვეწა. ის გრძნობს, თუ რა დიდია შეერთებული შტატების უმაღლესი მთავარსარდლის პასუხისმგებლობა. მას უფრო მეტ ინფორმაციაზე მიუწვდება ხელი და ხედავს პრეზიდენტის გადაწყვეტილებების შესაძლო შედეგს. ამგვარად, კანდიდატ დონალდ ტრამპის რიტორიკა პრეზიდენტ დონალდ ტრამპის რიტორიკით იცვლება. ბრიუსელში სტუმრობა მასზე მხოლოდ დადებითად იმოქმედებს.

— აშშ-ის პრეზიდენტთან პირადად შეხვედრის შემდეგ, დარწმუნდნენ თუ არა ევროპელი მოკავშირეები ევროპული სტრუქტურებისადმი აშშ-ის მხარდაჭერაში? ნატოსთან დაკავშირებით პრეზიდენტის პოზიცია შეიცვალა, მაგრამ მას ჯერაც არ დაუგმია რუსეთის აგრესია უკრაინის წინააღმდეგ, აგრეთვე არ უთქვამს, რომ კოლექტიური თავდაცვის შესახებ ნატოს ხელშეკრულების მეხუთე პუნქტის ერთგულია...

— ვფიქრობ, ევროპის ლიდერებს შეშფოთების საფუძველი აღარ ექნებათ. მე ამის მჯერა. უნდა გითხრათ, რომ არ ვეთანხმები თქვენი შეკითხვის მეორე ნაწილს. პრეზიდენტმა გარკვევით თქვა, რომ სანქციები ძალაში დარჩება, სანამ რუსეთი განაგრძობს ყირიმის უკანონო ოკუპაციას და არ ასრულებს მინსკის შეთანხმებებს. ვფიქრობ, მან, ბოლოს, და ბოლოს გააცნობიერა, რომ რუსეთი შეერთებული შტატების პარტნიორი არაა. ეს არ მომხდარა უკრაინის, ან აღმოსავლეთი ევროპის გამო. ეს მოხდა სირიის გამო. სირიაში უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში მომხდარმა ამბებმა — ქიმიური იარაღის გამოყენებამ და რუსეთის რეაქციამ, გნებავთ, რეაქციის არარსებობამ — პრეზიდენტი დონალდ ტრამპი დაარწმუნა, რომ სანამ ვლადიმირ პუტინი ხელისუფლებაშია, რუსეთი შეერთებული შტატების პარტნიორი ვერ იქნება. ჩემი აზრით, დონალდ ტრამპი ნატოს შესახებ სწორ განცხადებებს აკეთებს. დიახ, მან თქვა, რომ რამდენიმე ევროპულ სახელმწიფოს შეერთებული შტატების ვალი მართებს, რადგან თავდაცვაზე ცოტას ხარჯავს. ეს განცხადება, რა თქმა უნდა, სასაცილოა. არავის ჩვენი ვალი არ მართებს. ნატო ასე არ მუშაობს. ზოგიერთი ასეთი განცხადება რომ გვერდზე გადავდოთ, სხვა მხრივ, ის სწორ აქცენტებს აკეთებს, როდესაც ნატოს მნიშვნელობასა და საერთო საფრთხეებზე საუბრობს. ვაშინგტონი პოლიტიკურად იმდენად გაყოფილია, ხოლო აქ მიმდინარე პოლიტიკური დებატები იმდენად მოწამლული, რომ ტრამპმა ჩაფხუტი რომ დაიხუროს, იარაღი აისხას და პირადად გაემართოს ესტონეთის დასაცავად, ოპონენტები მაინც იტყვიან, რომ ის ნატოს მხარს არ უჭერს.

— რა როლი აკისრია ნატოს „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლაში?

— ძალიან უმნიშვნელო. ალიანსი კონტრტერორისტული ოპერაციებისათვის არ შექმნილა. მას ტერორიზმთან ბრძოლის საშუალებები არ გააჩნია. ის თავადაა ტერორიზმთან ბრძოლის ერთ-ერთი იარაღი, მაგრამ არა სრულფასოვანი კონტრტერორისტული ორგანიზაცია. მას არ გააჩნია საკანონმდებლო საფუძველი რადიკალიზაციისა და ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად; არ გააჩნია სამართალდამცავი უწყებების მართვის ფუნქცია, რაც ტერორიზმთან ბრძოლას სჭირდება; არც ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის უნარი.

იხ. 8 გვ.

„საკარაულოდ, რუსეთის არცთუ რბილი რეაგირება ექნება“

ნატოს საპარლამენტო ასამბლეის 4-დღიანი ვიზიტი საქართველოს მხარდამჭერი დეკლარაციის მიღებით დასრულდა. თავად ღონისძიებისა და მიღებული დეკლარაციის მნიშვნელობაზე **„აძცენტს“** საერთაშორისო უსაფრთხოების სპეციალისტი **გიორგი გობრონიძე** ესაუბრა.

გიორგი გობრონიძე: მსგავსი ტიპის ღონისძიება, სადაც საქართველოა წარმოდგენილი, ქვეყნისთვის უკვე პოზიტიურია, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საპარლამენტო ასამბლეა უშუალოდ საქართველოში გაიმართა და, რაც მთავარია, დაემთხვა ქვეყნის მთავარ ეროვნულ დღესასწაულს — დამოუკიდებლობის დღეს. რა თქმა უნდა, ესეც არ ყოფილა შემთხვევითი. საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის საპარლამენტო ასამბლეამ საქართველოსადმი საკმაოდ მნიშვნელოვანი მხარდაჭერა დააფიქსირა — აღიარებულ იქნა ქვეყნის სწრაფვა ევროატლანტიკური უსაფრთხოების მექანიაზმებისკენ და კიდევ ერთხელ დაფიქსირდა გარანტიები იმისა, რომ საქართველო, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გახდება ნატოს წევრი. თუმცა ჩემი სურვილია, რომ ასეთი განცხადებები არ აღვიქვათ, როგორც „ხვალ არა და ზეგ ეს მოხდება“. ჩვენი საზოგადოება, სამწუხაროდ, ბუქარესტის სამიტიდან მოყოლებული, მიეჩვია ასეთი ტიპის იმედგაცრუებებს.

— ალბათ, ეს გადაჭარბებული მოლოდინები სახიფათოც არის...

— დიახ. მნიშვნელოვანია თავად ის დინამიკა, რომელიც ნატო-საქართველოს ურთიერთობებში არსებობს. დღეს ეს იყო კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი საქართველოს ნატოში გაწევრიანების გზაზე. ერთი მხრივ, ეს საქართველოსადმი ნატოს მხარდაჭერას უსვამს ხაზს, მეორე მხრივ კი — იმას, რომ დასავლურ საზოგადოებაში თანდათან იწყება კავკასიის, როგორც დასავლეთის უსაფრთხოების გარემოსთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რეგიონის აღქმა. კავკასიური პრობლემატიკისადმი აქამდე ამხელა დაინტერესება არ არსებობდა. ეს თემა თანდათან კიდევ უფრო აქტუალური გახდება. გვახსოვს, რომ ცოტა ხნის წინათ პირველად გაჟღერდა შავი ზღვის უსაფრთხდოების თემა, როგორც ნატოს ერთ—ერთი პრიორიტეტი, მიუხედავად იმისა, რომ შავი ზღვის აუზში ნატოს საკმაოდ მყარი პოზიციები აქვს — თურქეთი, შავი ზღვის №1 სამხედრო ფლოტი ნატოს წევრია, წევრები არიან შავი ზღვის აუზის სხვა ქვეყნებიც.

— თუმცა რუსეთმა ბალანსი შეცვალა...

— ყირიმის ანექსირებით რუსეთის შავი ზღვის ფლოტს ბევრი არაფერი დამატებია, ნახევარკუნძულზე რაც ჰყავდა, იგივე დარჩა, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ძალების პოლიტიკური განლაგება შეიცვალა და დამატებითი აქტივობაა საჭირო.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ყველაფერი, რაც ახლა თბილისში ხდება, რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკაში არ ჯდება და ეს იყო ერთგვარი გზავნილი, კონტრნაბიჯი რუსეთის პოლიტიკის მისამართითაც. რუსეთის უსაფრთხოების დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ რუსეთი საფრთხედ აღიქვამს მის საზღვრებთან ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გააქტიურებას; ნატოს ინფრასტრუქტურის სახელმწიფო საზღვრებთან გამოჩენას. აქ პირდაპირ არის საუბარი საქართველოზე და ალბათ, იგულისხმება თბილისში არსებული ნატო-საქართველოს ერთობლივი სასწავლო ცენტრი. ასამბლეის სესიის შემთხვევაშიც უნდა ვივარაუდოთ, რომ **რუსეთს არცთუ რბილი რეაგირება ექნება. ამ ყველაფერს შესაძლოა, ერთგვარი პროვოკაციების მცდელობა, თუნდაც ოკუპირებულ რეგიონებში ვითარების ხელოვნური გამწვავება მოჰყვეს. მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამან საქართველოს საგარეო კურსზე რაიმე სახის გავლენა არ მოახდინოს.** რუსეთის ფედერაცია ძალიან კარგად აცნობიერებს, რომ რაც უფრო მეტად დაშორდება საქართველო რუსულ ორბიტას, მით უფრო დაკარგავს ქართულ სახელმწიფოზე ზემოქმედების ბერკეტებს. რაც უფრო თანამიმდევრული, სწორხაზოვანი იქნება საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი, სულ უფრო ნაკლები ბერკეტი დარჩება რუსეთის ფედერაციას. ასეთი მოცემულობაა, რომ ყოველთვის იარსებებს საგარეო საფრთხეები, — მთავარია, ჩვენ როგორ ვიქნებით ამ საფრთხეებისთვის მომზადებული.

— და, თქვენი შეფასებით, ამ საფრთხეებს როგორ ვხვდებით?

— ამ შემთხვევაში ხანგრძლივი საუბარი მოგვიწევს, მთელი უსაფრთხოების პოლიტიკა უნდა განვიხილოთ — დაწყებული უსაფრთხოების კონცეფციით, დამთავრებული სხვა დოკუმენტებით, საგარეო პოლიტიკით, სამხედრო სტრატეგიით, თავდაცვის მინისტრის ხედვით, მაგრამ ჩვენი რესურსებიდან გამომდინარე, ალბათ, მაქსიმუმი კეთდება. უბრალოდ პრობლემა რესურსებშია. ჩვენი ტიპის ქვეყანას არ შეუძლია ბევრი რამის გაკეთება და ეს არის ყველაზე პრობლემური. თუმცა ისიც, რაც კეთდება, გარკვეულწილად ხარვეზიანია. არსებული რესურსებით ჩვენი უსაფრთხოების პოლიტიკა შესაძლებელია, უკეთესადაც დაიგეგმოს.

— თავად დეკლარაციის მნიშვნელობა განვუმარტოთ მკითხველს. რა მიიღო საქართველომ?

— თვითონ დეკლარაცია საინტერესო იყო, თუმცა სხვა ტიპის მოლოდინი არ არსებობდა: დამოუკიდებლობის დღეს საქართველოში დაიწყო ნატოს საპარლამენტო ასამბლეის სესია და რომ არ მიეღო საქართველოსთვის მაქსიმალურად მხარდამჭერი დეკლარაცია, ცოტა ალოგიკური იქნებოდა. ალბათ, ამ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანია ის საინფორმაციო ეფექტი, რაც ამ ყველაფერს გააჩნია. საქართველოში გარკვეულწილად იქმნება საინფორმაციო ფონი, თითქოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის შემთხვევაში ქვეყანას მოუწევს საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის მოცემულობის გადახედვა. ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანი იყო დეკლარაციაში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის დაფიქსირება და რუსეთის მიმართ მოწოდებები, მიუხედავად იმისა, რომ ვიღაცამ შეიძლება, თქვას, „სიტყვები სიტყვებად დარჩებაო“. ჩვენ ვაკვირდებით, როგორ ცდილობს რუსეთი ცხინვალისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის ილუზორულად წარმოჩენას. გავიხსენოთ სოჭში პუტინის ბიბილოვთან შეხვედრა, მაშინ, როდესაც ის ევროპელ ლიდერებს ხვდებოდა. ამ ფონზე საპარლამენტო ასამბლეის მხრიდან მნიშვნელოვანია პოზიციის დაფიქსირება, რომ ეს ყველაფერი ილუზორულია, არალეგიტიმური და რაც არ უნდა მოიმოქმედოს რუსეთის ფედერაციამ, ამას არ ექნება გაგრძელება, რეალურად აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებს არ გააჩნიათ თეორიული პოტენციალიც კი, ოდესმე მაინც შექმნან დამოუკიდებელი სახელმწიფოები. რუსეთის მიმართ იყო მოწოდება აღიარების უკან გაწვევაზე და ეს ამ კონტექსტშია ძალიან მნიშვნელოვანი. ეს მოწოდებაა რუსეთის მიმართ: „ის, რასაც რეაგიონში აკეთებ, საბოლოო ჯამში, კონტრპროდუქტიულია და ეს ხელს უშლის რეგიონში გრძელვადიანი მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებას“.

მთავარი გზავნილი, რომელიც საზოგადოებამ უნდა მიიღოს, ალბათ, ისაა, რომ კიდევ ერთი ნაბიჯით დავუახლოვდით ნატოს. ეს პარტნიორობა ხასიათდება გარკვეული დინამიკით, ჩვენ ვართ დაახლოების პროცესში, რაც თავის დროზე გაწევრებით დასრულდება. ჩატარდა საპარლამენტო ასამბლეა, სადაც დაფიქსირდა მხარდაჭერა საქართველოსთვის სამოქმედო გეგმის მინიჭებასთან დაკავშირებით და ეს გახდება წინაპირობა იმისა, რომ ნატოს შემდეგ სამიტზე ან მინისტერიალზე მოგვანიჭებენ სამოქმედო გეგმას. ეს შეიძლება, არც გახდეს წინაპირობა, მაგრამ ის, რომ ნატოს წევრი ქვეყნების საპარლამენტო დელეგაციების წარმომადგენლების მხრიდან გაცხადდა პოლიტიკური ნება, საქართველომ მიიღოს ნატოში გაწევრიანების სამოქმედო გეგმა, უკვე არის პოზიტიური მოვლენა.

დიანა მუსელიანი,
ახალი ამბების სააგენტო „აქცენტი“

რუსული ტყვიამფრქვევი ამერიკულმა ჩაანაცვლა

ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივ ცენტრში ამერიკული წარმოების ტყვიამფრქვევების გადმოცემის ცერემონია გაიმართა. M240-ის ტიპის ტყვიამფრქვევები საბოლოოდ ჩაანაცვლებს საქართველოს შეიარაღებაში მყოფ საბჭოთა წარმოების PKM-ს. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა პირადად გამოსცადა ამერიკული წარმოების ტყვიამფრქვევი. დღესვე, კრწანისის სამხედრო ბაზაზე ნატო-საქართველის წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის დაარსებიდან 2 წლისთავიც აღნიშნეს. **„მე სიმბოლურად მეთაურს გადავეცი M240-ის ტიპის ტყვიამფრქვევი, ამერიკული წარმოების. ასეულობით მივიღეთ ასეთი ტყვიამფრქვევი, რომელიც არის უმაღლესი სტანდარტის იარაღი. აღჭურვის პროცესი მომავალშიც გაგრძელდება, ჩვენ ამაზე არა ერთგზის, საჯაროდ განვაცხადეთ და სწორედ ნატოს სტანდარტებთან ახლოს მყოფი აღჭურვილობით და ბუნებრივია, წვრთნების მაღალი სტანდარტებით უზრუნველვყოფთ ჩვენი ქვეყნის მდგრადობას,“** — განაცხადა ლევან იზორიამ. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ის სამხედრო მოსამსახურეები დააჯილდოვეს, რომლებიც კრწანისის სამხედრო ბაზაზე მსახურობენ.

იან კელი: მოხარული ვარ, რომ ქართულ ჯარს გადავეცით იარაღი, რომელსაც ნატოს ძალები იყენებენ

ორი წლის წინათ ვიმყოფებოდი აქ და ვნახე როგორ იქცა ეს ცენტრი იდეიდან ფუნქციონირებად ცენტრად — ამის შესახებ ჟურნალისტებს საქაველოში აშშ-ის ელჩმა ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის დაარსებიდან ორი წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე განუცხადა. იან კელი ასევე გამოეხმაურა საქართველოსთვის M240 ტიპის ტყვიამფრქვევების გადმოცემასაც.

„ორი წლის წინათ ვიმყოფებოდი აქ და ვნახე, როგორ იქცა ეს ცენტრი იდეიდან ფუნქციონირებად ცენტრად. მოხარული ვარ, რომ გადავეცით ტყვიამფრქვევები, რომელსაც ნატოს ძალები იყენებენ. ეს არის საქართველოს ინტეგრაციის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი და ჩვენი ერთგულების ხელშესახები სიმბოლო, დავეხმაროთ საქართველოს იმ ძალების აგრესიის შეკავებაში, რომლებიც არ აღიარებენ საქართველოს არჩევანს გაწევრიანდეს ნატოში,“ — განაცხადა იან კელიმ.

დონორთა საკოორდინაციო შეხვედრა

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით დონორთა საკოორდინაციო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის მონაწილეებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილემ ეკატერინე გრიგალავამ და შვედეთის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელმა მოლი ლიენმა მიმართეს.

ეკატერინე გრიგალავამ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს სამინისტროს მიერ განხორციელებული რეფორმები, მიმდინარე და დაგეგმილი ქმედებები გააცნო.

შეხვედრაზე მთავრობის შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებმა ისეთი საკითხები განიხილეს, როგორიცაა: გარემოსდაცვითი მმართველობა და მდგრადი განვითარების მიზნები, განახლებადი ენერგია, ინფრასტრუქტურული პროექტების როლი ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების პროცესში, კატასტროფების რისკების შემცირება, ნარჩენების მართვა და წყალმომარაგების პოლიტიკა.

ᲕᲘᲓᲠᲔ ძირითად სათქმელზე გადავალ, მანამდე დაბეჯითებით გირჩევთ, გაეცნოთ ერთ საინტერესო ამონარიდს.

„...1825 წელს, საფრანგეთის ერთობ ცნობილმა არისტოკრატმა მარკიზმა დე დამპიერმა ზღვარგადასული, მოურიდებელი, ღვარძლიანი და მეტისმეტად უხვი ლანძღვა-გინებით ისე შეაწუხა საზოგადოება, რომ მისი იძულებითი სამედიცინო გამოკვლევა გადაწყვიტეს. ეს იყო პირველი პაციენტი, რომელსაც ექიმმა იტარდმა დაუსვა დიაგნოზი, რასაც შემდგომ გამოჩენილი ფრანგი ნევროლოგის ჟილ დე ლა ტურეტის სახელი ეწოდა, რამეთუ მან პირველმა აღწერა და დაახასიათა ეს „მოვლენა“, როგორც სამედიცინო მდგომარეობა.

ჟილ დე ლა ტურეტის სინდრომი — ქრონიკული დაავადებაა და ძალიან იშვიათია მონაცემები ამ სენით შეპყრობილთა სრული (!) გამოჯანმრთელების(!!!) შესახებ. ძველად, ასეთ ავადმყოფებს ავ სულებს (ეშმაკებს, დემონებს) ეძახდნენ.

დღესდღეობით ამ სინდრომის (მსუბუქი ხარისხით) მატარებელ ცნობილ ადამიანთაგან ერთ-ერთი გახლავთ ფეხბურთელი დევიდ ბეკჰემი. მისი დიაგნოზია კოპროლალია . ეს პათოლოგია ორნაირია. ერთი: უმიზეზოდ უხამსი, საგინებელი სიტყვების და ფრაზების წამოძახება. მეორე: უნებლიე უხამსი ჟესტები და მოძრაობები.

სინდრომი გვხვდება ყველა კულტურაში . სხვადასხვა ქვეყნის მონაცემების მიხედვით 10 000 მოსახლეზე ყოველი 4 შემთხვევიდან 3 მამაკაცია. (ანუ, ქალბატონების მხრივ საქართველო ამ მხრივ ისეთი გამონაკლისია, რომ შესაძლოა გინესის წიგნშიც კი მოხვდეს რეკორდსმენად - ნ.ფ.)

ჟილ დე ლა ტურეტის სინდრომი ქრონიკული (!!!!) დაავადებაა, რაც მემკვიდრეობით (ერთ-ერთი მშობლის გენის გზით) გადაიცემა და მისი სრული განკურნება (!!!!) დღეისათვის შეუძლებელია (!!!!). მიუხედავად ამისა, არსებობს ამ სინდრომის მკურნალობის ორი სტრატეგია: მედიკამენტური და სოციალურ-ფსიქოლოგიური. მკურნალობის სტრატეგია დამოკიდებულია დაავადების სიმძიმეზე ანუ სიმპტომების გამოვლენის ხარისხსა და გართულებაზე.

განსაკუთრებულ სოციალურ შეშფოთებას იწვევს ამ სინდრომის ვოკალური სიმპტომი — კოპროლალია: არანორმატიული ლექსიკის და უფრო რთული სექსუალური, აგრესიული თუ შეურაცხმყოფელი გამონათქვამების აფეთქებადი „ნიაღვარი“, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს უნებლიე, ნაუცბადევი წყენის თუ განრისხებისას გამოვლენილ რეაქციად.

ამ სინდრომის მატარებელ პაციენტებში და მათ ნათესავებში უფრო ხშირად შეიძლება აღმოჩნდეს ფსიქიკური აშლილობა: შიზოფრენია, მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზი, აკვიატებული ნევროზი და პანიკური დარღვევები“.

ჟილ დე ლა ტურეტის სინდრომი,

ანუ ბოდიში არა... კვატი!

ᲐᲛ ამონარიდის გაცნობის შემდეგ, გაცილებით ადვილია მეტ-ნაკლები ახსნა „რაღაც-რაღაც“ მოვლენებისა, რომლებიც უხვად გვხვდება არა მარტო ფეისბუქზე, არამედ მედიაში, განსაკუთრებით ელექტრონულში. აგერ, მსოფლიოს გულშემატკივართა კერპი დევიდ ბეკჰემი, თურმე, ამ „შეუკავებლობის“ მსუბუქად მატარებელი ყოფილა, მაგრამ ეს ჩვენი ტელე და ფბ-„ვარსკვლავები“ საკუთარ სიყეყეჩეს, საკუთარ სიმყრალეს ასეთი დოზით, ასეთი უტიფრობით, ასეთი ინტენსივობით რომ აფრქვევენ, ნეტავი რომელი მძიმე წონის მატარებელი დასძრავს ამ „ფუნა-ტვირთს“?

როგორც, ზემოთ მოტანილი ამონარიდი და არაერთი ჩვენებური ფსიქიატრი მიუთითებს, უკურნებელია ეს სენი. მით უმეტეს, თუ უმძიმეს ნერვულ ფონზე მიმდინარეობს, მაგალითად, გენეტიკასთან (ამის ფაქტები არსებობს), აღზრდის ნაკლოვანებებთან, ოჯახურ ტკივილთან (ცხადზე ცხადია)... თურმე, არაერთი კვლევა ადასტურებს ჰიპოთეზას , რომ არა ნაკლებ მძიმეა ეს ფონი, თუ დაკავშირებულია „მატერიალურ სინდრომთან“ — ფულის შოვნის დაუოკებელ სურვილთან, რომლის განხორციელებაც „შეწერვის“, გამოძალვის, დაშანტაჟების მეთოდებთან ასოცირდება. მეთოდიკა-უნივერსალურია და არ არის ქვეყნის საზღვრებზე, ეროვნებაზე, სქესზე, ასაკზე, პროფესიაზე, სიმსუქნე-სიგამხდრეზე, მომხიბვლელობაზე დამოკიდებული. განმსაზღვრელია, რა დოზით, რა სიღრმით ხარ ჩაფლული ამ გახრწნილებაში...

ზემოთ თქმული დასკვნა და მისი გააზრება, მეტ-ნაკლებად იმასაც ხსნის, თუ „ადეკვატურად“ რატომ არ რეაგირებენ ნორმალური (!) ადამიანები და „სტრუქტურები“ იმ „ნიაღვარზე“, რომელიც მათი (და არა მარტო) მისამართით „მიუშვეს“ უკურნებელმა ა ვ ა დ მ ყ ო ფ ე ბ მ ა!!

ეს ერთი მიზეზია. მეორე, ალბათ, ის რომ საკუთარი ღირსებისთვის შეუფერებლად მიიჩნევდნენ ჩარევას აშკარად თავხედურ, უზრდელურ პოლემიკაში. არის მესამეც, ბევრისთვის საერთო: საკუთარი ნერვების, რეპუტაციის და ოჯახის წევრების გაფრთხილება, შეგნებულად თავის არიდება „იარლიყებიდან“, უგვანი სეირიდან, სიბინძურის მორევიდან. და, სამწუხაროდ, ამ „არიდებამ“ მეტისმეტად გაათავხედა ეს უტიფარი ადამიანები. გადაწვდნენ ყველას, განურჩევლად „თეთრისა და შავისა“, და ამ ზღვარგადასულობისას გადაკვეთეს „წითელი ხაზები“ იმათ მიმართ, ვინც ასე „ადვილად“ არ გადაყლაპავდა ლანძღვა-გინებას, ცილისწამებას, შეურაცხყოფას, დაცინვას... და მოხდა ადრე თუ გვიან მოსახდენი: საპასუხო სილის გარტყმა „დაქირავებულ მჯღაბნელებს“!!! გამიზნული შეურაცხყოფისა და შანტაჟის ადამიანები განთავისუფლდნენ „შიშის“, მორიდების, საკუთარი რეპუტაციის „გაფრთხილების“ კომპლექსისგან და... დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო! არავითარი მორიდება! არავითარი დანდობა! არავითარი სიწმინდე! ჭუჭყიანი საცვლების გამოფენა-დემონსტრაცია! თანაც, გაურეცხავის, რამეთუ ისე არიან ჩართული ურთიერთბრძოლაში, რომ გასარეცხად და თმების დასავარცხნად აღარავის სცალია!

უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა, ვინ იყო პირველი, თუმც ყველასთვის კარგად არის ცნობილი ვინაობა იმ პროფესიონალი „მენაგვე-დიდოსტატებისა“, რომლებსაც ქართულ საზოგადოებრივ სივრცეში „დაპატენტებული“ აქვთ უსაზიზღრესი მეთოდები (ფარული ჩაწერა, გადაღება) და ტერმინოლოგია, რომლითაც „უმასპინძლდებიან“ არასასურველ პიროვნებებს, მათ შორის ის ტერმინოლოგია, რომელთა გაცნობის შემდეგ ძნელია, ადამიანებს უწოდო დედა, მამა, შვილი, ძმა, და, საერთოდ, ოჯახში გაზრდილი პიროვნება.

ყოველივე ეს რაზედაც ახლა გულისტკივილით ვწერ, ცხადად ჩანს ფეისბუქზე, რამდენიმე გაზეთის ფურცლებზე, ზოგიერთ ტელეეკრანზე. და ეს არ მეხება პერსონალურად მარტო მე, ან ჩემს მეგობარ-კოლეგებს, ახლობლებს. ეს საერთო საზოგადოებრივი უბედურებაა და არა მარტო ჩვენი პროფესიული ოჯახისა, რომელიც მეტისმეტად დაანაგვიანა ანგარებით თუ ამბიციურობის მიზნით მიტმასნილმა „სექტამ“. იმიტომაც ვამახვილებ ამ გენეტიკურ თუ შეძენილ უმძიმეს „სენზე“ ყურადღებას, უკვე მერამდენჯერ, იმ პუბლიკაციებში, რომლებსაც სამართლებლივი, მორალური და პროფესიული პასუხისმგებლობით ვაქვეყნებ მედიაში, მათ შორის „საქართველოს რესპუბლიკასა“, „რეპორტიორის“ საიტზე ჩემი გვარ-სახელით თუ რედაქციებისთვის ცნობილი ფსევდონიმით.

ადრე შევეცადე, მეტაფორულად მიმენიშნებინა „რაღაც-რაღაცები“ და ერთმნიშვნელოვნად მეთქვა, რომ არ მომწონს, მიუღებელია და არავითარი შეხება სიბინძურეებთან არ მქონია, არ მაქვს და, ვიდრე საჭიროდ ჩავთვლი, არც მექნება. უფრო მეტიც, ყველაფერი გავაკეთე წინათაც, ახლაც, რომ ეს „სეირი“ არ შემდგარიყო. პირდაპირ უნდა მივახალო მავანს და მავანს: არმცთუ არ მომწონს, არამედ მრცხვენია კიდეც იმ პრიმიტივიზმის !!!) და აღვირახსნილობის (!!!), რითაც გამოირჩევა ეს „პოლემიკა“ და „მხილების პროცესი“. მაგრამ, რას იზამ, ეს მათი არჩევანია. ორივე (!) მხრიდან!

ნორმალური(!) ადამიანებისგან განსხვავებით, ეს ფრაზა „ბრალის“ აღიარებად ჩათვალა ზოგიერთმა „ინტელექტუალმა“, ელემენტარული ფრაზის ვერგამგებმა, დოსტოევსკის „კრეტინების“(!!!) მსგავსმა ტიპაჟმა კი საჯარო ბოდიშის მოხდისკენ მომიწოდა. ბოდიში არა, კვატი!!!

და წავიდა ისევ ერთი და იგივე ბოდვები!

ვწუხვარ, რომ ყველასთან, რა თქმა უნდა არა, ზოგიერთ მათგანთან კი მქონდა ურთიერთობა და, ვერ წარმოვიდგენდი, თუ ეს ზრდასრული ადამიანები და მათი გამოწვრთნილი და ზომბირებული გოგო-ბიჭები ასეთ უზრდელებად, უტიფრებად, თავხედებად და „სისხლის მწოველებად“ გადაიქცეოდნენ.

ნოდარ დუმბაძე ამბობდა ასეთ ურცხვებზე: შუბლზე ძარღვგაწყვეტილი ხალხიაო!

ასეა!

ერთმა ბრძენმა კი თქვა, არ არსებობს იმაზე დაუძინებელი მტერი, ვიდრე ყოფილი მეგობარიო.

ესეც ჭეშმარიტებაა!

ღვთის წყალობით, ჯერ არ მაქვს თავი მოსაკლავი და არც ერთ ნაღდ მეგობარს და ნამოწაფარს არ ჩაუდენია ისეთი რამ, რომ აკაკის „გამზრდელი“ მქონდეს ხელახლა წასაკითხი.

ამიტომ, აგონიაში მყოფი „ავადმყოფებისგან“ განსხვავებით ჩვენ მშვიდად ვართ, რამეთუ აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ: აშკარად ცუდად დაამთავრებენ, რამეთუ ჯერ (!) არ მქონია (!) შემთხვევა, რომ ის, ვინც ჩემდამი (ისევე როგორც სხვის მიმართ, ვისაც არ დაუმსახურებია) ასე საზიზღრად და უსირცხვილოდ იქცევა, არ დასჯილიყოს. დიახ, არ დასჯილიყოს, თანაც ძველი ჩინური სიბრძნის შესაბამისად, რომელიც გვასწავლის: ბოროტებას და გახრწნილებას თავად არასოდეს გადაუხადო სამაგიერო. ცხოვრება უშენოდაც მოახერხებს მის დასჯას. შენი მოვალეობაა, დაჯდე მდინარის პირას და დაელოდო როდის ჩამოატარებს წყალი ცხოვრების მიერ დასჯილი შენი მტრების გვამებს.

ჰოდა, ახლა მტკვარი მომატებულია და კარგად უნდა დავაკვირდე, რამე არ გამომეპაროს...

მანამდე კი შარშანდელი („რეპორტიორი“, 18.03.2016, ასევე, იგივე, შარშანწინდელი, კიდევ უფრო წინანდელი) წერილი წაიკითხეთ. ჩემი ზოგიერთი ოპონენტისთვის ეს სიახლეს არ წარმოადგენს. რა ვიცი, ეგებ, თქვენც გამოგადგეთ... შეიარაღებაში!!!

არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი!..

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ წესი, არასოდეს ვრეაგირებ დიდ თუ პატარა „ღრენა-კბენა-პწკენაზე“, მით უმეტეს, ცილისწამებაზე, აშკარა სიცრუეზე, შანტაჟზე...

მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ საპასუხო რეაგირებას, პროტესტს, ახსნა-განმარტებას აზრი არა აქვს, რამეთუ, ჯერ ერთი, თავის მართლებაში ჩაგეთვლება, რაც უკვე დანაშაულის „აღიარებას“ ნიშნავს და მეორე — ვისაც შენი სჯერა, ის ისედაც არ ირწმუნებს და ვისაც არა — წყალშია შენი მცდელობები გადაყრილი...

აქედან გამომდინარე, თითქმის ყოველთვის ვცდილობ, რომ მივყვე წინაპართა გაფრთხილებას: „დუმილი ოქროა!..“

ესე იგი, ვერც ერთ შემთხვევაში ვერ ჩამითრევენ პოლემიკაში, ესე იგი დღესაც არ ვაპირებ სერიოზულ „გაფართხალებას“.

მათ საპასუხოდ მხოლოდ ერთი სიტყვა: ბ ო დ ვ ა!!!!!

უკვე ვთქვი: ფეისბუქზე მე ჩემი მეგობრებისთვის (ასაკისა და მდგომარეობის განურჩევლად), ვწერდი და ვწერ. ასეა ახლაც!

თქვენ, მეგობრებს, მოგმართავთ: როგორც აქამდე, მომავალშიც ვენდოთ ერთმანეთს! ერთმანეთის სიტყვას!

კვლავ გავიმეორებ: არავითარი პოლემიკა, არავითარი კონტაქტი არამზადებთან! ვერავითარი ძალა, ვერავითარი „ფორს-მაჟორული“ სიტუაცია ვერ შემაცვლევინებს პრინციპს: ტოლი ნახე, შენი წონითი კატეგორია იცოდე! და ამასვე მოვუწოდებ კოლეგებს, განსაკუთრებით ტელესივრციდან, დღეგამოშვებით რომ იწვევენ ამ „სულით და ხორცით“ მახინჯ ადამიანებს ტელეპოდიუმზე და აფრქვევინებენ ბოღმას, სიძულვილს, ცილისწამებას... საკმარისია მათი „არდანახვა“, მათი „არშემჩნევა“ და ამ „ვარსკვლავების“ პოპულარობა საპნის ბუშტივით გასკდება.

დანარჩენი სათქმელი კი მათ — დამკვეთმაც და წარმმართველმაც — წაიკითხონ ისევ იმ არაკში, მღვდელსა და დიაკვანს რომ ეხება და რომელიც ადრე ამ ჩემ ფბ-გვერდზე გამოვაქვეყნე, მხოლოდ ჩემი მეგობრებისთვის. ამჯერად კი, უშუალოდ მათ ვჩუქნი და შეერგოთ:

„ᲛᲦᲕᲓᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲐᲙᲕᲜᲘᲡ ᲐᲠᲐᲙᲘ“

ᲔᲠᲗᲛᲐ დიაკვანმა თავისი უშუალო „უფროსის“ — მღვდლის გაშარჟება განიზრახა და მრევლი შეკრიბა: მოდით, მღვდელი გავამასხარაოთო!

— როგორო, დაუსვეს კითხვა.

— როგორ და მღვდელი ყოველ კვირა დილას თევზაობს, მივიდეთ, გავაპამპულავოთ... და მაგრად გავერთობითო!

— მაინც, როგორო?

— როგორ და ასეო: მივეპაროთ, თქვენ ჩაცუცქულები იქნებით რომ მან არ შეგამჩნიოთო... მე მივესალმები: გამარჯობა მამაო!

ის მიპასუხებს: სალამი, შვილო!

მე: როგორ ბრძანდებით, მამაო?!

ის: ჩვეულებრივ, შვილო! თავად ხომ კარგად?

მე: მადლობთ, მამაო! ოჯახში როგორ გიკითხოთ, მამაო?

ის: მადლობთ, შვილო, ღვთის შეწევნით ვართ!

მე: აქ რას აკეთებთ, მამაო?

ის: ვთევზაობ, შვილო!

მე: დაიჭირეთ თევზი, მამაო?

ის: კი, შვილო, დავიჭირე!

მე: აბა, მაჩვენეთ როგორი თევზი დაიჭირეთ, მამაო!

მამაო ამოიღებს და გვაჩვენებს ანკესით დაჭერილ წვრილ ლიფსიტას და გვეტყვის: აი, თევზი შვილო!

პასუხად მე ორივე ხელს ჩემს „საოხრეზე“ დავიდებ და გულიანად ვეტყვი: აგერ, უფრო დიდი თევზი მამაო და ეს დაიჭირეო!

თქვენ წამოიშლებით და ხარხარით „გავაპამპულავებთ“ ამ ჩვენს მღვდელსო!..

და დაიწყო დიაკვანმა მრევლთან რეპეტიციები ...

რამდენიმე დღის შემდეგ დადგა წარმოდგენის გამართვის დროც.

...„შეთქმულები“ ჩუმად მიეპარნენ მდინარესთან მოთევზავე მღვდელს...

დიაკვანი ამაყად წამოიწია და, წინასწარ მრავალგზის რეპეტიციაგავლილი ტექსტით და დაყენებული ხმით მღვდელს მიმართა:

— გამარჯობა, მამაო!

მღვდელმა მოიხედა, აათვალიერ-ჩაათვალიერა დიაკვანი და ყოველგვარ შესავლის გარეშე მიახალა:

— წადით შენი და შენნაირების დედაც!.. და ზედ 18-სართულიანი გინებაც მიაყოლა და... „წარმოდგენაც“ ამით დაასრულა.

ჰოდა, სიამოვნებით გადავუზიარებ მღვდლის „კურთხევას“ ყველა ძველ თუ ახალ კაპრალ-ლეიტენანტ-ზედამხედველ-ჩამშვებ-აგენტ-ჩამწერ-გამომქვეყნებელ-გამზიარებელ — ყბედ ნაბიჭვარს, აგრეთვე, მათ ფანებს — კლავიატურის „ტკბილად მოღრიალე ლომებს“, თავიანთი ოჯახებისთვის რომ ვერ მოუვლიათ და ქვეყნის მოვლაზე რომ აქვთ პრეტენზია.!



მშვიდობაში მოიხმარეთ ეგ „კურთხევა“ და მომავალში განმეორებითი „ვაჟკაცობის“ შემთხვევაში აგსრულებოდეთ მრავალგზის!

ამინ!

ნუგზარ ფოფხაძე

ერთადერთი გზა გვაქვს – ჭეშმარიტად ეროვნული, დიპლომატისა და ლიდერის ნიჭით დაჯილდოებული ადამიანის ირგვლივ გაერთიანება!

ჯერ, ცოტაოდენი წინა წერილიდან, სადაც ვწერდი, რომ პარლამენტს მიღმა დარჩენილი პარტიების კუთვნილი ხმების (ამომრჩეველთა ერთი მეხუთედის!) გადანაწილება პარლამენტში გასულ პარტიებზე არასამართლიანია (მნიშვნელობა არა აქვს ერთი პარტია მიითვისებს ყველა მანდატს, თუ „ძმურად“ გაიყოფენ!), ვინაიდან **სხვისი კუთვნილის მითვისება (ძონება იძნება ეს, თუ ხმები) ყველა დროში დანაშაულად (ძურდობად, ყაჩაღობად) ითვლებოდა და მკაცრადაც ისჯებოდა კანონით**. ამ გზით მანდატების მიტაცება, რასაც ე.წ. ბონუსს, საჩუქარს უწოდებს პარლამენტის თავმჯდომარე და რის დაკანონებასაც „ოცნება“ ცდილობს, სააკაშვილის დროინდელ მეთოდს მაგონებს, როდესაც ნაცები თვალშიმოსული ქონების სახელმწიფოსთვის, უფრო კი, თავისთვის გადაცემას აიძულებდნენ ბიზნესმენებს. ამ ძალადობას მაშინაც ჩუქებას უწოდებდნენ, მაგრამ ნაცები იურიდიულ მხარეს არ ივიწყებდნენ – მას ნოტარიული წესით „ნებაყოფლობით ჩუქებად“ აფორმებდნენ (ზოგჯერ, შუაღამისას). ნაცებისგან განსხვავებით, ქოცების და პარლამენტში მოხვედრილი ორი პარტიის მიერ სხვისი ხმების დაპატრონების და განაწილების თაობაზე თავად ამ ხმების მეპატრონეებს (350 ათასს ამომრჩეველს!) არაფერს ეკითხებიან. გაცხარებული კამათი მიდის არა დარჩენილი ხმების ბედის სამართლიანად გადაწყვეტის, დამსახურებისამებრ მიკუთვნების ირგვლივ, არამედ – ამ სხვისი(!) ხმების ერთმანეთში(!) გაყოფის წესზე. ნებისმიერი შემოთავაზებული ვარიანტი ხმების გაყოფისა პრინციპულად ვერ იქნება სამართლიანი, ვინაიდან მანდატების ერთმანეთში გადანაწილების მეტ-ნაკლებად სამართლიანობას არაფერი აქვს საერთო უსამართლობასთან – ასეულ ათასობით ამომრჩევლის ხმების (მანდატების) უკითხავად მითვისებასთან! აპელირება იმაზე, რომ ბევრ „დემოკრატიულ“ სახელმწიფოში ამგვარი ქმედება, თურმე, ჩვეულებრივი მოვლენაა, მიღებული წესია, თავის მართლებად არ გამოდგება, არგუმენტად ვერ ჩაითვლება – სხვისი „წესით“ საკუთარი უწესობის გამართლება მიუღებელია! არც იმას აქვს მნიშვნელობა, თუ რამდენ მანდატს მიითვისებენ პარლამენტში მოხვედრილი პარტიები მომავალში – 15-ს, როგორც 2016-ში, თუ 5-ს, რადგანაც ძველთაგან ცნობილია – **„აძლემის ძურდი და ნემსის ძურდი, ორივე ძურდია“!**

იქვე იმასაც აღვნიშნავდი, რომ დარჩენილი ხმების ბედის გადაწყვეტის ჩემეული ვარიანტი სამართლიანი კი არის, მაგრამ სხვა საკითხია, თუ რამდენად სასარგებლოა სახელმწიფოსთვის ისეთი მდგომარეობა, როდესაც პარლამენტში არც ერთ პარტიას უბრალო უმრავლესობაც არ ეყოლება და ბევრი მათგანი 1- 2 ან, თუნდაც 4-5 დეპუტატით იქნება წარმოდგენილი. მთავარი **გადასაჭრელი პრობლემა არის ის, თუ რა სჯობს სახელმწიფოს ეფექტური მართვისთვის – ერთპიროვნული, ანუ ერთი პარტიის დომინირება პარლამენტში თუ დემოკრატიული, ანუ მრავალპარტიული პარლამენტი?**

თუკი აპრიორი დავუშვებთ, რომ მრავალპარტიული პარლამენტი უდავოდ ჯობს ერთპარტიულს (დარწმუნებული ვარ – ამ აზრისაა მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა), მაშინ ლოგიკური იქნება ისიც დავუშვათ, რომ რაც მეტი პარტია გავა პარლამენტში, მით უკეთესი იქნება ქვეყნისთვის. თეორიულად ნამდვილად ასე გამოდის, მაგრამ, პრაქტიკა სულ სხვას გვიჩვენებს. პარლამენტში ამჟამად წარმოდგენილ სამ პარტიას (თუნდაც, 4-5 პარტიას) 14-15 ან კიდევ უფრო მეტი პარტია თუ ჩაანაცვლებს და არც ერთ მათგანს უბრალო უმრავლესობაც არ ეყოლება, საერთო აზრის მიღწევა და საჭირო კანონების მიღება გაადვილდება? თუ, პირიქით, – ძალიანაც გაჭირდება და დროშიც გაიწელება, ზოგჯერ კი შეუძლებელიც გახდება, განსაკუთრებით, ისეთ საკითხებზე, რომლებსაც საკონსტიტუციო უმრავლესობა დასჭირდება. ახლა, სამი პარტიის ხელში რას ჰგავს საკანონმდებლო ორგანო და, ადვილი წარმოსადგენია, მრავალპარტიულობის პირობებში რას დაემსგავსება იგი. უკეთეს შემთხვევაში პარლამენტი ჭეშმარიტად გაამართლებს თავისი სახელის პირდაპირ მნიშვნელობას – „სალაპარაკოს“, ხოლო დღევანდელი „რჩეულების“ მსგავსი დეპუტატებით დაკომპლექტების შემთხვევაში კი იგი ნამდვილ სალაყბოდ გადაიქცევა.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ მხოლოდ ორადორი, დაახლოებით თანაბარი ძალის, ოღონდ სხვადასხვა პოლიტიკურ პლატფორმაზე მდგარი პარტია იქნება წარმოდგენილი პარლამენტში, სახელმწიფოს ეფექტური მართვა მაინც გაძნელდება, რადგანაც ის კანონები, რომელთა მიღებასაც დეპუტატთა ხმების 2/3 ან, მით უფრო, 3/4 დასჭირდება, იშვიათად თუ შევა ძალაში. ამ მხრივ, ერთპარტიული მმართველობა ნამდვილად ბევრად ეფექტურია, და ამის დასტურია ჩინეთის მაგალითი – ყველას სმენია ამ სახელმწიფოს ეკონომიკის სწრაფი ზრდის შესახებ, მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ **2011-2013 წლებში, სამ(!) წელიწადში ჩინეთმა 1.5-ჯერ მეტი ცემენტი მოიხმარა (გზების, კაშხლების, აეროპორტების, ცათამბჯენების და სხვა შენობა-ნაგებობებისთვის), ვიდრე შეერთებულმა შტატებმა მთელი მეოცე საუკუნის მანძილზე; მხოლოდ 2013 წლებს თუ შევადარებთ – 30-ჯერ(!) მეტი (2,3 გიგატონა ცემენტი)!** დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია! (ამაზე წერს ისტორიკოსი **ვაცლავ სმილი** თავის წიგნში – „როგორ შენდებოდა თანამედროვე მსოფლიო“). დიქტატორად წოდებული **კადაფის** ლიბიაში 20 ათას(!) კმ-ზე მეტი მაგარსაფარიანი გზატკეცილი შეემატა ქვეყანას, ჩვენთან კი, დემოკრატიული წყობის და დასავლეთის ფინანსური მხარდაჭერის პირობებში 400-კილომეტრიანი გზის დასრულებას არა და არ დაადგა საშველი.

თავისთავად იბადება კითხვები: მაშ დასავლეთში რატომღა უწევენ პროპაგანდას მრავალპარტიულ საპარლამენტო მმართველობას და რატომ ცდილობენ ამ ტიპის მმართველობის დამყარებას (სამხედრო ძალითაც!) მთელ მსოფლიოში?! და, ამ დროს თავად შეერთებულ შტატებში რატომ არის ყოველთვის(!) მხოლოდ ორი(!) პარტია წარმოდგენილი კონგრესში და რატომ ირჩევენ პრეზიდენტსაც მხოლოდ ამ ორი პარტიის – „რესპუბლიკური“ და „დემოკრატიული“ კანდიდატებიდან (ასეა 170 წელი!)?! საქმე ის არის, რომ **გამოთქმა: „საპარლამენტო მმართველობაზე უკეთესი კაცობრიობას არაფერი მოუგონია“, დანარჩენი მსოფლიოსთვისაა მოგონილი და არა – ამერიკისთვის,** სადაც პრეზიდენტს დიდი ძალაუფლება უპყრია ხელთ. კი მაგრამ, – იტყვის ზოგიერთი, კონგრესში ხომ მაინც ორი სხვადასხვა პარტიაა წარმოდგენილი?! ეს თვალის ასახვევი „დემოკრატიული“ შირმაა მხოლოდ, სინამდვილეში, **„რესპუბლიკური“ და „დემოკრატიული“ პარტიებს შორის თითქმის ისეთივე განსხვავებაა, როგორიც „ძართულ ოცნებასა“ და „ნაცმოძრაობას“ შორის**. თავიდანვე, ჩვენთანაც ამგვარი ორპარტიული სისტემა იყო ჩაფიქრებული ამერიკის მიერ, რაზედაც არაერთი ჭკვიანი ანალიტიკოსი გვაფრთხილებდა, და დღეს სწორედ ამ ფაქტის წინაშე მაინც დავდექით! „ქართული ოცნების“ „ნაცებთან“ დამსგავსება–დაახლოებაც, რომელიც 2012 წლის არჩევნების დასრულებისთანავე(!) დაიწყო (რის გამოც ხალხმა მათ „ქოცები“ შეარქვა) სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა და ამიტომ შემოაგდო მაშინდელმა პარლამენტის თავმჯდომარემ **უსუფაშვილმა** „პოლიტიკური დანაშაულის ჩამდენი“ ნაცების ამნისტიის წინადადებაც, საბოლოოდ კი ყველანი ამერიკის შემოთავაზებულ თანაცხოვრებაზე, ე.წ. „კოჰაბიტაციაზე“ შეთანხმდნენ. როდესაც ორ პარტიას შორის არავითარი არსებითი სხვაობა არ არის, მაშინ, ფაქტობრივად, ერთპარტიულ მმართველობასთან გვაქვს საქმე – ასეა ამერიკაში და ასეა ჩვენთანაც (კიდევაც რომ არ ფლობდეს „ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობას, პარლამენტში სამადლოდ დაშვებული „პატრიოტთა ალიანსი“ ვერაფერს გახდება ქოც-ნაცების ტანდემთან).

თავისთავად, ერთპიროვნული მმართველობა არ შეიძლება იყოს ცუდი ან კარგი ანუ, სხვანაირად, იგი შეიძლება იყოს როგორც კარგი, ასევე – ცუდი. ყველაფერს განსაზღვრავს, თუ ვინ და რა ძალაა სათავეში, რა პოლიტიკას ატარებს და დამოუკიდებლად იღებს თუ არა გადაწყვეტილებებს! ბედნიერება იქნებოდა თუკი საკონსტიტუციო უმრავლესობით გამარჯვებული პარტია – „ქართული ოცნება“ მართლაც დამოუკიდებლად და ჭეშმარიტად საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე წარუძღვებოდა ქვეყანას და ყოველ წვრილმანზე ვენეციის კომისიას, სტრასბურგს, სავალუტო ფონდს, ევროკავშირს და, უპირველესად, ამერიკის ელჩს (ანუ ამერიკას) არ მიაჩერდებოდა თვალებში, ჩვენ შინაურ საქმეებში უხეშად ცხვირის ჩამყოფს თავის ადგილს მიუჩენდა, ხოლო საკუთარ პრემიერ-მინისტრს პასუხს მოსთხოვდა (გადააყენებდა კიდეც!) იმ სირცხვილის გამო, რომელიც მან თავისი მიუხვედრელობით (თუ უთავმოყვარეობით!) ქართველ ერს გვაჭამა, როცა ოფიციალურ ვიზიტად მყოფი ორ თურქულ დროშას შორის ფოტოებს იღებდა. ამგვარი „პატივი“, მსოფლიოში ჯერ არავისთვის უკადრებიათ, მხოლოდ ჩვენ გაგვიბედეს, ამიტომ ამის დავიწყება არ შეიძლება, მაგრამ პასუხი, პირველ რიგში, ჩვენიანს უნდა მოვთხოვოთ და არა – „ისტორიულ მეგობარს“! დიდი მიხვედრა არ უნდა იმას, რომ **სანამ საკუთარი ღირსებისა და ძვეყნის ავტორიტეტის დამცველი ხელისუფალი არ გვეყოლება, მანამდე არაფერი გვეშველება** (თუკი პრემიერმა უნებლიე შეცდომა დაუშვა, მას, მინიმუმ, ბოდიში უნდა მოეხადა საჯაროდ).

სხვათაშორის, ჩემი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ერთპიროვნული, ანუ ერთპარტიული პარლამენტი მრავალპარტიულზე უფრო სტაბილურია ანუ უკეთესი, თავად პარლამენტის თავმჯდომარემ აღიარა ირიბად, როცა განაცხადა, რომ საპარლამენტო სისტემა ყველაზე მეტად არის მიდრეკილი არასტაბილურობისკენ (შეუთანხმებლობისკენ, ანუ ფუჭი ლაყბობისკენ – ი.ლ.), რომ ეს არის მისი მთავარი ნაკლი და ამიტომ, საარჩევნო ბარიერის დაწევა (5 %-ზე დაბლა) და მრავალი პარტიის წარმოდგენა პარლამენტში მას კიდევ უფრო არასტაბილურს გახდის (რატომ არის 5 % ოპტიმალური ზღვარი, ეს რატომღაც აღარ განუმარტავს). მას სავსებით ვეთანხმები, მაგრამ არასტაბილური პარლამენტი შეიძლება გახადოს ოთხმა პარტიამაც, სამმაც და ორმაც კი – გააჩნია მანდატები როგორ გადანაწილდება. ერთი სიტყვით, **დემოკრატიულობანას თამაშისთვის ორპარტიული პარლამენტი ჯობს (როგორც ამერიკაშია), საძმისთვის კი – ერთპარტიული**.

ყოველივე ზემოთქმულიდან ერთი საინტერესო რამ გამომდინარეობს: თუ თავს ვდებთ დემოკრატიაზე, თუ გვსურს მრავალპარტიული, პლურალისტული პარლამენტი, თუ დავიცავთ სამართლიანობას – უარს ვიტყვით სხვისი კუთვნილი ხმების ძალადობრივ მითვისებაზე და ასობით ათას ამომრჩეველს (350 ათასს 2016 წლის არჩევნების მიხედვით) საშუალებას მივცემთ მათი ხმაც ისმოდეს პარლამენტში, მაშინ ვიღებთ მართლაც მრავალპარტიულ, მაგრამ... არასტაბილურ პარლამენტს. რაც უფრო მეტი პარტია იქნება წარმოდგენილი პარლამენტში, და არც ერთ მათგანს არ ექნება უმრავლესობა(!), მით უფრო მეტად არასტაბილური გახდება იგი – რაც მეტი, მით უარესი, და კავშირი, თითქმის, პირდაპირ-პროპორციულია. რაც არ უნდა გაგვიკვირდეს, სამწუხაროდ, ასეა! **სამართლიანობის დაცვა – დარჩენილი ხმების პატრონებისთვის დაბრუნება და ჭეშმარიტად მრავალპარტიული, ანუ პლურალიზმით გაჯერებული(!) საკანონმდებლო ორგანო თავისი არასტაბილურობით სახელმწიფოს განვითარების შემაფერხებელი ძალაა!**

ამ არასტაბილურობის შემცირება მხოლოდ პარტიების შემცირებით ხერხდება, ანუ **რაც უფრო ნაკლები პარტია იქნება პარლამენტში,** მით უკეთესი. ყველაზე ცოტა კი ერთი პარტიაა, მაგრამ ერთი არ ივარგებს, რას იტყვის ხალხი – ერთპიროვნულ მმართველობას დაგვაბრალებს, ამიტომ, მინიმუმ, ორი პარტია მაინც უნდა იყოს და ხალხსაც დავარწმუნებთ, რომ დემოკრატიულად ვმართავთ ქვეყანასო, ფიქრობენ შტატებში და დანარჩენ მსოფლიოსაც ამაში არწმუნებენ.

იაკობ ლეჟავა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

მიწით ვაჭრობა ქვეყნის ღალატის ტოლფასია!

საქართველო მიშიზმით და ბენდუქიზმით დაავადებული კონსტიტუციით ვეღარ ივლის

საქართველოს **დამაქცევარი ნაცების მმართველობის პერიოდში სააკაშვილის მიერ გაუპატიურებულ კონსტიტუციაში ცვლილებათა შეტანის განხილვის ხმაურიანი პროცესი დასასრულს უახლოვდება. ამ ცვლილებათაგან ერთ-ერთი ყველაზე უფრო „დანაღმული“ საკითხი, რომელსაც საზოგადოება გამორჩეულად მტკივნეულად აღიქვამს, უცხოელებზე მიწის მიყიდვაა, იმ მიწისა, რომლის ჰაიჰარად გასხვისებასაც თავის დროზე „მწვანე შუქი“ აუნთო ქართული „ეკონომიკის მამად“ მონათლულმა, ნეტარხსენებულმა ბენდუქიძემ. რა დასამალია, სწორედ მისმა „ჭარბმა ინტელექტმა“ და „ელვარე ნიჭიერებამ“, დიდ საბიზნესო გამოცდილებასთან ერთად, რომელიც რუსეთში დააგროვა, მისცა ბიძგი სიღარიბით გაძვალტყავებულ საქართველოს წარუმატებლობა ერთბაშად დაეძლია და მსოფლიოს „აყვავებულ“ სახელმწიფოთა შორის აღმოჩენილიყო. ერთი კია, სააკაშვილ-ბენდუქიძის ავტორობით განხორციელებულმა რეფორმებმა ეკონომიკაში, სოფლის მეურნეობაში, სამედიცინო სისტემაში, რიგ სხვა დარგებში, მიწის, ტყეების, მდინარეებისა თუ ტბების, ენერგეტიკული და სხვა სტრატეგიული ობიექტების სარფიან ფასებში გაყიდვამ (ყველაფერი უნდა გავყიდოთ, საკუთარი სინდისის გარდაო, მოითხოვდა ტანზორბა კახა ბატონი!) თავად რეფორმატორთა შემოსავლები ზღაპრულად გაზარდა, ხალხს კი უკანასკნელი გროშებიც დააკარგვინა.**

იმ „წარმატებული“ რეფორმებიდან გამომდინარე, ბენდუქიძის ნამუსგარეცხილობაზე საუბარი (გრძნობდა რა ბაჯაღლო ნამუსის პატრონიც იყო და ამიტომ გასაყიდად ვერ გაიმეტა!), ვიცი სააკაშვილისეულ ნაცბანდელებს სამომავლო იმიჯის შესაქმნელად არ გამოადგებათ, მაგრამ სინდისნამუსით დახუნძლულობის მხრივ თავადაც რომ შიშველ-ტიტვლად გამოიყურებიან? ბოლო პერიოდში ისინი მართალია მარტივ მამრავლებად — წმინდა სისხლის ნაცებად, ევროპელ ნაცებად, „გირჩებად“ და „ქინძებად“ დაიშალნენ, მაგრამ ძველებური ზნეობა მისხალმოუკლებლივ შეინარჩუნეს. ამიტომაც არ ეთაკილებათ სხვადასხვა მოტივით მიწის გაყიდვის აუცილებლობაზე ღიად და მოღალატურად „იდისკუსიონ“.

მიწის გამყიდველთა ყველაზე უფრო „ავტორიტეტული“ წარმომადგენლები თავიანთ ახირებას მაღალი ევროპული ღირებულებების დაცვის სურვილით ხსნიან. მიწის გასხვისება, აცხადებენ ისინი, არის ყველა ცივილიზებული სახელმწიფოს პრაქტიკა და თუ „ჩვენ ევროპაში გვინდა“, უნდა ვიყოთ ასეთივე ცივილიზებულები. თუ არ იქნება კანონი მიწის უცხოელებზე გაყიდვის შესახებ, საერთაშორისო სავალუტო ფონდი კრედიტებს არ გამოგვიყოფს, უამისოდ კი ქვეყნის ეკონომიკა ვერ განვითარდება, უმიწოდ ინვესტორიც ზურგს შეგვაქცევს და გაგვექცევაო.

უფრო „ჭკვიანები“ ჭკუას გვარიგებენ, თანაც გვამხნევებენ, ნუ გეშინიათ, უცხოელები საქართველოში ნაყიდ მიწას ზურგზე ხომ ვერ მოიკიდებენ და წაიღებენ, საბოლოოდ მიწაც ჩვენთან დარჩება და მასზე მოწეული მოსავალიცო. რა თქმა უნდა, უცხოელები ჩვენ მიწას ხურჯინით ვერ გაზიდავენ, მაგრამ უფრო უარესს გვიზამენ, როგორც ერთმა ჩემმა კოლეგამ მოსწრებულად შენიშნა: „თავიანთ ჯიშ-ჯილაგს აქ ჩამოათესლებენ, საქართველოში ნაყიდ მიწებზე ღამით ორნი დაწვებიან და დილით ოთხნი ადგებიან!“ ჰოდა, მაშინ მოგვეცემა ლხენა ქართველებს.

თუმცა არც ამჯერად გვაქვს მოსალხენად საქმე, ოფიციალური მონაცემებით, **დღეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწების დაახლოებით 5-5,5 პროცენტი, ანუ 50-55 ათასი ჰექტარი მიწა უცხოელების საკუთრებაა. კანონიერად თუ უკანონოდ, მიწები გაყიდულია როგორც ქართლსა და კახეთში, ისე იმერეთში, სადაც უკვე გაჩნდა ჩინელების, ინდოელებისა თუ ათასი ჯურის გადამთიელთა კომპაქტური დასახლებები.** საქართველოში მიწას ყიდულობს ნებისმიერი უცხოელი, რომელსაც მოესურვება. ამ მხრივ ლიდერობენ ინდოელები, რომელთაც მხოლოდ წნორში 200 ჰექტარი მიწა დაისაკუთრეს.

არადა, მიწა ქართველი კაცისთვის ღვთით ბოძებული სიმდიდრეა და არ შეიძლება ის ყიდვა-გაყიდვის საგნად იქცეს. ამასთან, როგორც ცნობილი ქართველი პოლიტოლოგი **ალექსანდრე ჭაჭია** განმარტავს: **„ღმერთმა მიწა ერთ თაობას კი არა, მთელ ერს უბოძა, ერი კი მომავალ, ჯერ არდაბადებულ თაობებსაც მოიცავს. ამიტომ, დღეს მცხოვრებ ადამიანთაგან არავის აქვს უფლება განაგებდეს იმას, რაც მხოლოდ მას არ ეკუთვნის“.**

ქართველ პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი უცხოელებისთვის მიწის მიყიდვას ინვესტიციების მოზიდვის აუცილებლობით ხსნის და აცხადებს, რომ ეს ქვეყნის ეკონომიკას განავითარებს. ეს მოსაზრება რომ მცდარია, იქიდანაც ჩანს, რომ დღემდე გაყიდულ მიწებს საქართველოში არც დიდი ეკონომიკური აქტივობა მოჰყოლია და არც ეკონომიკური აღმასვლა. **ამ ყველაფერს ფხიზელი თვალით თუ შევხედავთ, არ გაგვიჭირდება დავინახოთ, რომ ეს არის ბოროტება, რომელიც შემოგდებულია საქართველოსა და ქართველი ხალხის მტრების მიერ. დღეს, როცა ქართველები საზღვარგარეთ გარბიან და სოფლები ავისმომასწავებლად ცარიელდება, ქვეყანაში შემოჰყავთ ფულიანი უცხოელები და საუკეთესო მიწებს ჩალის ფასად უკანონებენ. ასე თუ გაგრძელდა, რამდენიმე წელიწადში საქართველოში გლეხკაცი უმიწაწყლოდ დარჩება. აბა, რა შეიძლება დავარქვათ ამას, თუ არა, ქვეყნის ღალატი და გამყიდველობა?!**

ასეთ ვითარებაში ავსული ნაცების პოზიცია გამჭვირვალე და ნათელია, როგორც წესი, ისინი თავს მაშინ გრძნობენ დალხენილად და გამარჯვებულად, როცა ქვეყანასა და ხალხს მომაკვდინებელ ვნებას აყენებენ. ეს ნაცები, მაგრამ ამ დროს, რა ზომებს მიმართავენ ხელისუფლებაში ნებიერად მსხდომი, მსუყე-მსუყე დაპირებებით მოსული მეოცნებენი? მაინც და მაინც, ბევრს არაფერს!

ხომ არ ვაჭარბებ? აგერ არის ბატონო, როგორც „ნაცების“, ისე „ქოცების“ მიერ ნაკეთები „საქმენი საგმირონი“ და გადავხედოთ. სხვათა შორის, **ჯერ კიდევ „ოცნების“ გახელისუფლებამდე, უცხოელებს საქართველოში მიწის შეძენა ეკრძალებოდათ (მემკვიდრეობით მიღებული კი უნდა გაეყიდათ) მანამდე, სანამ 2012 წლის 30 ივნისს ჩვენმა დიდად დემოკრატიულმა საკონსტიტუციო სასამართლომ არ დაასკვნა, რომ ეს შეზღუდვა არაკონსტიტუციურია (21-ე მუხლის მიმართ). ახალმა ხელისუფლებამ 2013 წლის 28 ივნისს კანონში „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ ცვლილებები შეიტანა და უცხოელებს მიწის შეძენის (და მემკვიდრეობის მიღების) უფლება 2014 წლის 31 დეკემბრამდე შეუზღუდა. სწორედ ამ დროს, როგორც ჩვენში ხდება ხოლმე, თავი წამოყო სამარადჟამო ჭეშმარიტების მაძიებელმა, ამერიკული გრანტებით ყელამდე მოყირჭებულმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ და მიწის გაყიდვაზე შეზღუდვა საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა. ამ უკანასკნელსაც მეტი მიზეზი რა უნდოდა (კატას ძეხვი ესროლეს, იმასაც ის უნდოდაო), მიწაზე მორატორიუმი არაკონსტიტუციურად მიიჩნია და გააუქმა. მთელი ამ ხნის განმავლობაში მიწის გაყიდვას ტაშს უკრავდნენ ნაცბანდელები და მათი სატელიტი პოლიტიკოსები.**

ამ კრიტიკულ სიტუაციაში როგორი პოზიცია დაიკავა „ქართულმა ოცნებამ“? **როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, ამჯერადაც „ოცნების“ პოზიცია უხერხემლო და უნიათო გამოდგა, მან მიწის უცხოელებზე მიყიდვის აღსაკვეთად რაღაც ნაბიჯი კი გადადგა, მაგრამ იმდენად უნდილად და არადამაჯერებლად, რომ კონსტიტუციური სასამართლოსა და ქვეყნის მოღალატე ასოების მიერ მხარდაჭერილი ვერაგობა (მიწების განიავება), ფაქტობრივად, ვერ შეაჩერა.** ამიტომაც არის, რომ კონსტიტუციაში შესატანი ცვლილების სასოველთაო-სახალხო განხილვისას საზოგადოება ხელისუფლების პოზიტიურ როლს გულდაჯერებულად ვერ აღიქვამს. ვერც გაამტყუნებ, თუკი მას ყურში უიმედოდ ხვდება ირაკლი კობახიძის რეპლიკა „ჩვენ ავირჩიეთ შუალედური მიდგომა“, ან სოფლის მეურნეობის მინისტრის ლევან დავითაშვილის ფრაზა „უცხოელებზე მიწის მიყიდვის ტოტალური აკრძალვა არ უნდა მოხდეს“. ხალხისთვის გაუგებარი და შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა 15 მაისს ფილარმონიის სცენიდან პარლამენტის თავმჯდომარის მიერ ნასროლი უადგილო, არაადეკვატური რეპლიკები კომუნისტობაზე, საქართველოში კომუნიზმის დასრულებაზე და სხვა სულელური გამონათქამები. საყოველთაო განხილვის მონაწილეებს ხელისუფლების მხრიდან არც იმით თავმოწონება მოსწონთ, რომ კონსტიტუციის მიღებისას ვენეციის კომისიის შენიშვნა-რეკომენდაციებს მთლიანად გაითვალისწინებენ. იქნებ, იმათ კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებებიდან უცხოელებზე მიწის გასხვისების აკრძალვა, ან გნებავთ, ოჯახის დეფინიციის განსაზღვრა არ მოეწონოთ, ამიტომ ხსენებული ცვლილებები უსიტყვოდ უნდა ამოიღონ?!ამოიღონ ამ დალოცვილებმა ხმა, ვისი ან რისი ეშინიათ?!

ყველაფერი წინ არის, ვნახოთ, „ოცნების“ ხელისუფლება როგორ კონსტიტუციას დადებს, ისეთს, როგორიც ქართველი ხალხის ნება-სურვილის გამომხატველი იქნება, თუ ისეთს, როგორიც ევროპულ დემოკრატიას ესიამოვნება. უბრალო, ბანალური ჭეშმარიტება გახლავთ, ხელისუფლება თვალებში იმ ხალხს უნდა შესციცინებდეს, რომელმაც აირჩია და არა იმას, ვინც ქვეყანაში მარიონეტად მოავლინა. თუ ამას არ გაითვალისწინებს, მაშინ არც ის უნდა გაუკვირდეს, თუ მომავალ არჩევნებში ხალხი „ოცნებას“ ზურგს შეაქცევს და წუნკალი ნაცების დარად, ქვეყნის მმართველობიდან უკან მოუბრუნებლად გაისტუმრებს.



ოთარ ხუციშვილი

ახალი სტადიონი ბათუმში

ბათუმში, **ფრიდონ ხალვაშის გამზირზე, №322-ში ძლიერი ქარის დროს დაზიანებული სტადიონის ადგილას ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სტადიონის მოწყობა იგეგმება. ძველი სტადიონის დემონტაჟი მერიის შესაბამისმა სამსახურმა განახორციელა, რადგან დაზიანებული ბოძები მოსახლეობას საფრთხეს უქმნიდა.**



ბათუმის მერიაში განმარტავენ, რომ ახალი სტადიონის პროექტი შემუშავებულია. მერიის წარმომადგენლები უკვე შეხვდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს და სტადიონის პროექტი გააცნეს. ახალი სტადიონი ზაფხულის პერიოდში მოეწყობა.

გალამაზებული სააკაძის მოედანი

სააკაძის მოედნის გამწვანებული ტერიტორიის აღდგენა-მოწყობის სამუშაოები დასრულდა.

პროექტის ფარგლებში, ტერიტორიის 3545კვ. მეტრზე მოეწყო სარწყავი სისტემა, დაიდგა დეკორატიული ლამპიონები.

ტერიტორიაზე დაირგო ზეთისხილი, გართხმული ღვია, ტუია, 700 ძირი ვარდი. 1212 კვ. მეტრ მიწის ფართობზე დაიგო ბალახი. ბილიკები დაფარულია დეკორატიული ქვიშით.

სამუშაოები, ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის დაკვეთით, კონტრაქტორმა კომპანიამ შპს „მწვანე სახლმა“ შეასრულა.

ძლიერი სეტყვა კახეთში

სტიქია **კახეთში — სეტყვამ თელავის რაიონის სოფლები შალაური, ვარდისუბანი და გულგულა დააზარალა. ადგილობრივების ინფორმაციით, სეტყვა რამდენიმე წუთის განმავლობაში გაგრძელდა, თუმცა განადგურებულია ვენახების დაახლოებით 70%, დაზიანებულია საკარმიდამო ნაკვეთები, ნათესები და ხეხილის ბაღები.**

სტიქიის გამო რამდენიმე საათის განმავლობაში სოფლებს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა. ადგილობრივი ხელისუფლების ინფორმაციით, ზარალის დათვლა უკვე დაიწყო.

ნიკოლაი სტარიკოვი

ცილდაწამებული გენერალისიმუსი

ვიხსენებთ ერთად

და ამ თემის დასასრულისთვის ისღა დაგვრჩა, რომ გავიგოთ ხრუშჩოვის სტალინისადმი პათოლოგიური ზიზღის მიზეზები, ბელადის სიცოცხლეში ეს ზიზღი არანაირად არ მჟღავნდებოდა. მაგრამ იგი შმაგ ფერად აყვავდა 1953 წლის 5 მარტის შემდეგ. ხრუშჩოვის გამოსვლა პარტიის XX ყრილობაზე — ცრუ, თაღლითობითა და ფასილიფიკაციით აღსავსე — ამის ყველაზე ნათელი დადასტურებაა. რად ღირს ხრუშჩოვის სიტყვები იმის შესახებ, რომ სტალინი საბრძოლო მოქმედებებს გლობუსით ხელმძღვანელობდაო: **„ვურეკავ ვასილევსკის და ვეუბნები: აიღეთ, ვეუბნები, რუკა, ალექსანდრ მიხეილის ძევ (ამხ. ვასილევსკი აქ გვესწრება), აჩვენეთ ამხანაგ სტალინს, თუ როგორი რთული ვითარებაა. უნდა ითქვას, რომ სტალინი ოპერაციებს გლობუსით გეგმავდა (გამოცოცხლება დარბაზში). დიახ, ამხანაგებო, აიღებს გლობუსს და მასზე გვიჩვენებს ფრონტის ხაზს. და აი, ვეუბნები ამხ. ვასილევსკის, უჩვენეთ რუკაზე ვითარება, ასეთ პირობებში ხომ არ შეიძლება გავაგრძელო ადრე დასახული ოპერაცია. საქმის სასარგებლოდ უნდა შევცვალოთ ძველი გადაწყვეტილება.**

თავად ვასილევსკი სრულიად სხვა რამეს ლაპარაკობდა: **„სავსებით ვეთანხმები გ.კ.ჟუკოვს ბედუკულმართ გლობუსთან დაკავშირებით. სტალინის სამუშაო კაბინეტში იგი არ ყოფილა, ის იყო მის დასასვენებელ ოთახში, იქ კი ცოტა ვინმეს თუ იწვევდნენ. სტალინს ყოველთვის ჰქონდა გენერალური შტაბის მიერ მომზადებული სამუშაო რუკები ომის თეატრის ყველა მიმართულებით, რომლებიც საჭირო იყო“.**

უფრო მეტი სისულელის წარმოდგენა, რაც ხრუშჩოვმა თქვა, — ძალიან რთულია — მან ხომ შესანიშნავად იცოდა, რაც ხდებოდა სინამდვილეში. მაგრამ ცრუობდა პირდაპირ პარტიის ყრილობაზე. ზიზღი ყოველივე სტალინურისადმი უვლინდებოდა ხრუშჩოვს წვრილმანებშიც კი. როდესაც სტალინის აგარაკზე ისვენებდა რიწის ტბაზე, აფხაზეთში, ის უარს ამბობდა, ეცხოვრა იმ ოთახებში, სადაც მანამდე იოსებ ბესარიონის ძე ცხოვრობდა. ისიც კი ბრძანა, რომ სახლს მიაშენონ თავისთვის სრულიად ცალკე სათავსი, თავად აგარაკის ტოლი.

საიდან გაუჩნდა ეს ზიზღი? პიროვნულ ნიადაგზე.

გასაოცარი საქმეა — მაგრამ სტალინის ბევრ მაძაგებელს, დაწყებული ხრუშჩოვიდან და დამთავრებული „სვანიძეებით“, აქვს მისი ზიზღის პირადი მიზეზი. მაგრამ ამის ღიად თქმა არ შეიძლება — არც ერთი მათგანი პირად მოტივებს არასოდეს არ ახმიანებდა. თვალცეცხლიანები კი ცილს სწამებენ სტალინს, პირდაპირ იგონებენ მის ბრალეულობებს ყველაფერში, რაც შეიძლება ადამიანს თავში მოუვიდეს. აი, მაგალითად, როგორ ცდილობს ხრუშჩოვი, წარმოაჩინოს სტალინი პარანოიკად და დასცინოს მას თავის მოხსენებაში XX ყრილობაზე. თუმცა, ჩვენი დღეების სიმაღლიდან ხრუშჩოვის სიტყვები მოსჩანს სრულიად სხვაგვარად: „ჩვენ ვიცით, რომ საქართველოში, ისევე, როგორც ზოგიერთ სხვა რესპუბლიკაშიც, თავის დროზე იყო ადგილობრივი ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გამოვლინებანი. ჩნდება შეკითხვა, იქნებ, მართლაც, იმ პერიოდში, როდესაც ღებულობდნენ ზემოთ ხსენებულ გადაწყვეტილებებს, ნაციონალისტური ტენდენციები გაიზარდა ისეთი მოცულობებით, რომ იყო საფრთხე საქართველოს გამოსვლისა საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან, და თურქეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში გადასვლისა (გამოცოცხლება დარბაზში, სიცილი). ეს, რასაკვირველია, სისულელეა. იმის წარმოდგენაც ძნელია, თუ როგორ შეიძლებოდა მოგსვლოდა თავში ასეთი ვარაუდი. ყველასთვის ცნობილია, თუ როგორ ამაღლდა საქართველო თავის ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში საბჭოთა ხელისუფლების წლებში (ხრუშჩოვის სიტყვიდან პარტიის XX ყრილობაზე). ომის დროს ხრუშჩოვის ვაჟიშვილს თავს გადახდა მეტად არასასიამოვნო ისტორია. და ვინაიდან სტალინს ყველას მიმართ, მათ შორის თავისი შვილების მიმართაც, ჰქონდა ერთნაირი საზომით მიდგომა, ხრუშჩოვის შვილის მიმართაც ის გამონაკლისს არ დაუშვებდა. აი, რას გვიამბობს ამის შესახებ ვიაჩესლავ მოლოტოვი:

„— ხრუშჩოვი სულიერად სტალინის მოწინააღმდეგე იყო. მას ჰქონდა ბოღმა სტალინზე იმის გამო, რომ ხრუშჩოვის შვილი ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ ფაქტობრივად დახვრიტეს. ასეთი გამხეცების შემდეგ ის ყველაფერზე მიდის, ოღონდ მისთვის სახელი გაეტეხა.

— ნიკიტამ შვილზე უარი თქვა, ხომ?

— კი...

— მისი შვილი თითქოს მოღალატე იყო. ესეც მასზე მეტყველებს. კარგია პოლიტიკური მოღვაწე, ვისაც ჰყავს შვილი და ისიც...“

გენერალ-მაიორმა მ.ს. დოკუჩაევმა, საბჭოთა კავშირის გმირმა, სსრ კავშირის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის მე-9 სამმართველოს უფროსის ყოფილმა მოადგილემ, გვიამბო იმის შესახებ, თუ რა მოხდა. ეს ნაამბობი მოჰყავს ნ.ა. ზენკოვიჩს თავის წიგნში „მამის შურისძიება“. 1943 წლის მარტის დასაწყისში სტალინს ფრონტიდან დაურეკეს გენერალ-ლეიტენანტმა ხრუშჩოვმა, რომელიც მაშინ სამხრეთ-დასავლეთი ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი იყო. ითხოვდა პირად შეხვედრას. სტალინი დათანხმდა. რის თქმასაც აპირებდა ხრუშჩოვი, წინასწარ იყო გასაგები. მისმა შვილმა ლეონიდმა მთვრალ მდგომარეობაში მაიორი დახვრიტა. ამ დროს ხრუშჩოვის შვილი უკვე ადრეც „ერთობოდა ხოლმე“ იარაღით და სტალინმა გაუგო ნიკიტა სერგის ძეს და საქმე ლეონიდზე შეწყდა. მას მისცეს შესაძლებლობა, პატიოსნად ეომა სამშობლოსათვის. და აი ახლა მან მკვლელობა ჩაიდინა. ხრუშჩოვი, პრაქტიკულად თვალცრემლიანი სთხოვდა სტალინს, მკაცრად დაესაჯათ მისი შვილი, ოღონდ არ დაეხვრიტათ ის. იოსებ ბესარიონის ძემ დაახლოებით ასე უპასუხა:

„მე მომახსენეს, თუ რა შეემთხვა თქვენს შვილს. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ შევხვდებოდით და საუბარი თქვენს შვილზე იქნებოდა. მხოლოდ თქვენდამი დიდი პატივისცემიდან გამომდინარე, ამხანაგო ხრუშჩოვ, მე ნება მოგეცით, ჩამოსულიყავით ფრონტიდან მოსკოვში. პარტია დიდად აფასებს თქვენს წვლილს სოციალიზმის მშენებლობაში, ტროცკისტებთან და სხვა ოპოზიციონერებთან ბრძოლაში, თქვენს საქმიანობას საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებაში უკრაინაში და ახლა გერმანელ ფაშისტთა დამპყრობლებთან ბრძოლაში. ძალიან მინდოდა, დაგხმარებოდით ნიკიტა სერგის ძევ, მაგრამ მე უძლური ვარ ამის გაკეთებაში. ერთხელ მე წავედი ჩემი სინდისის წინაალმდეგ და ვთხოვე სასამართლოს, შეეწყალებინა თქვენი შვილი. მაგრამ ის არ გამოსწორდა და ჩაიდინა კიდევ ერთი, პირველის მსგავსი, მძიმე დანაშაული. მეორედ დავარღვიო კანონები, ამის ნებას არ მაძლევს ჩემი სინდისი და იმ ადამიანთა ვარამი, ვინაც თქვენი შვილის დანაშაულებრივი მოქმედებების მსხვერპლად იქცა. შექმნილ მდგომარეობაში არაფრით დახმარება არ შემიძლია. თქვენი შვილი წარსდგება სასამართლოს წინაშე საბჭოთა კანონების შესაბამისად“.

გენერალ-მაიორი მ.ს.დოკუჩაევი, ვის დამოწმებაზეც მიუთითებს ნ.ა. ზენკოვიჩი, ამტკიცებს, რომ ხრუშჩოვი მუხლებზე დაეცა, ატირდა და ევედრებოდა სტალინს, გადაერჩინა მისი შვილი. სტალინმა დაუძახა დაცვას და სთხოვა დახმარებოდნენ ამხანაგ ხრუშჩოვს მდგომარეობიდან გამოყვანაში...

მაგრამ დავუბრუნდეთ იოსებ ბესარიონის ძის ბიოგრაფიას და ომის დაწყების ტრაგიკულ და რთულ მოვლენებს. ერთ-ერთი ბოროტი და ცრუ მითი, რომელიც შექმნეს ჩვენი ქვეყნის მტრებმა, მეტყველებს: იმ საბჭოთა სამხედრო ტყვეების დაღუპვაში, რომლებსაც აწამებდნენ და ხოცავდნენ შიმშილით გერმანულ საკონცენტრაციო ბანაკებში, დამნაშავეა სტალინი (სსრ კავშირი), რომელმაც ხელი არ მოაწერა ჰაააგის კონვენციას. ვფიქრობ, მკითხველს უკვე აღარ აოცებს, რომ, დასავლელი წყაროებისა და ჩვენი „სვანიძეების“ თანახმად, სტალინი დამნაშავეა ყოველთვის და ყველაფერში. ამ შემთხვევაში ჩვენს წინაშეა ანგლოსაქსური პოლიტიკის კლასიკური ხერხი: ბრალი დანაშაულისთვის დაეკისროს მსხვერპლს. ჩვენს ჯარისკაცებს ნაცისტები საჭმელს არ აჭმევდნენ, და ამაშიც დამნაშავეები ჩვენ ვართ. სინამდვილეში სსრ კავშირს არ მოუწერია ხელი ჰაააგის კონვენციისთვის, მაგრამ აქედან არ გამოდიოდა, რომ სამხედრო ტყვეებს, რომლებიც საბჭოეთის ტყვეობაში აღმოჩნდნენ, მოეპყრობიან როგორღაც განსაკუთრებული სიმკაცრით. არაფერი უშლიდა ხელს გერმანიას, არ მოპყრობოდნენ დამამცირებლად ჩვენს ჯარისკაცებსა და ოფიცრებს და არ გაენადგურებინათ ისინი. ინგლისელების, ფრანგებისა და ამერიკელების მიმართ დამოკიდებულება გერმანულ ტყვეობაში იყო მსუბუქი. რატომ? იმიტომ, რომ ჰიტლერს რუსების განადგურება სურდა. ის ჩვენსკენ მოდიოდა, რომ „გაეწმინდა“ ტერიტორია, დასავლეთთან კი თანამშრომლობას აპირებდა. აი, მთელი მიზეზი. ჰაააგის კონვენციის საკითხს რომ დავუსვათ წერტილი, დავასახელებ ერთ დოკუმენტს. ომის დაწყების შემთხვევაში მოწინააღმდეგეთა დიპლომატიური მისიები ტოვებენ მეტოქის დედაქალაქს და სახლში მიემგზავრებიან. ასეთია ტაქტიკა. წავიდნენ ბერლინში გერმანელები, წავიდნენ სახლში რუსები ბერლინიდან. ასეთ სიტუაციაში ქვეყნების ინტერესების წარმოდგენას იწყებენ ნეიტრალები. და აი, 1941 წლის 17 ივლისს ვიაჩესლავ მოლოტოვმა შვედეთის მისიას სსრ კავშირში სამახსოვრო წერილში უპასუხა შეკითხვას ზემოაღნიშნულ კონვენციასთან დამოკიდებულების შესახებ.

„მოსკოვში შვედეთის მიმდინარე წლის 14 ივლისის იმ მემორანდუმის პასუხად, რომელშიც შვედეთის მთავრობა გვთხოვს, ვაცნობოთ, აღიარებს თუ არა საბჭოთა კავშირი თავისთვის სავალდებულოდ გერმანიასთან ამჟამინდელ ომში ჰაააგის 1907 წლის 18 ოქტომბრის კონვენციის სახმელეთო ომის კანონებისა და წეს-ჩვეულებების შესახებ. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს აქვს პატივი, გაცნობოთ შემდეგი რამ:

საბჭოთა მთავრობა აღიარებს თავისთვის სავალდებულოდ ჰაააგის 1907 წლის 18 ოქტომბრის კონვენციას სახმელეთო ომის კანონებისა და წეს-ჩვეულებების შესახებ. მაგრამ საბჭოთა მთავრობას აუცილებლად მიაჩნია ხაზგასმით აღნიშნოს, რომ ომში სსრ კავშირზე თავდამსხმელ ფაშისტურ გერმანიასთან საბჭოთა კავშირს საქმე აქვს ისეთ მტერთან, რომელიც სისტემატურად უხეშად არღვევს ყველა საერთაშორისო შეთანხმებას და კონვენციას. ეს საბჭოთა მთავრობას აყენებს აუცილებლობის წინაშე, დაიცვას ზემოაღნიშნული ჰაააგის კონვენცია ფაშისტურ გერმანიასთან დაკავშირებით მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს კონვენცია დაცული იქნება თავად გერმანიის მიერ“.

სსრ კავშირმა განაცხადა მის მიერ ჰაააგის კონვენციის აუცილებლად დაცვის შესახებ. განუცხადა არა შვედებს, არამედ მთელ მსოფლიოს — და, უწინარეს ყოვლისა, ბერლინს. მოლოტოვის სიტყვები მიმართულია ჰიტლერისადმი. არ დაიცავთ ჰაააგის კონვენციას, შევწყვეტთ მის დაცვას ჩვენ — აი, რას ამბობს ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროს მეთაური. გერმანიას, როგორც ცნობილია, არ დაურღვევია ტყვეებთან და მსოფლიო მოსახლეობასთან მოპყრობის წესები. აქედანაა სსრ კავშირის კოლოსალური დანაკარგები — 27 მილიონი, თანაც დიდი ნაწილი — ესენი არიან და არა სამხედრო მოსამსახურეები, არამედ მშვიდობიანი მცხოვრებლები. საბჭოთა კავშირი კონვენციას იცავდა, რამდენადაც ამის საშუალებას ომის პირობები იძლეოდა. სურვილი დაეხოცა შიმშილით ტყვეები და გაენადგურებინა გერმანიის სამოქალაქო მოსახლეობა, სტალინს არასოდეს არ ჰქონია.

ნიკიტა ხრუშჩოვი სკკპ XX ყრილობაზე

თარგმნა
ზურაბ ლომიძემ

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №69-82; 86-106

გზავნილი, რასაც ერთ დღეს ალიანსის წევრობა მოჰყვება

(მეორე გვერდიდან)

სამაგიეროდ, ეს საშუალებები გააჩნიათ ნაციონალურ მთავრობებს. ნატოს წევრ სახელმწიფოებს ტერორიზმთან ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ, მაგრამ ნატო, როგორც ინსტიტუტი, ვერაფერს იზამს. ნატომ უნდა დაიბრუნოს ის ფუნქცია, რომელიც დაარსებისას იკისრა – მისი წევრი სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის დაცვა. ჩრდილოეთ სირიაში კონტრტერორისტულ ოპერაციაში ჩართვა მისი საქმე არაა.

– საქართველო ნატოს საპარლამენტო ასამბლეას მასპინძლობს. არაწევრ სახელმწიფოში ასეთი ღონისძიება იშვიათად იმართება. რას ეუბნება ეს ფაქტი ქვეყანას, რომელიც ჯიუტად მიისწრაფის ნატოს წევრობისაკენ?

– ასამბლეის ჩატარება მნიშვნელოვანი გზავნილია. ღონისძიებისათვის დრო შესანიშნავადაა შერჩეული. როგორც ვიცი, საქართველოში წუხან, რომ ბრიუსელში მიმდინარე შეხვედრების პარალელურად ნატო-საქართველოს კომისია არ იკრიბება და საქართველო შეხვედრების დღის წესრიგში არ არის. ეს იმიტომ, რომ ბრიუსელში ნატოს სამიტი არ იმართება. ეს არაა სამიტი. ესაა სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების შეკრება, რაც ახალი ლიდერების არჩევის შემდეგ ჩვეულებრივი ამბავია. ამგვარად, საქართველოს საწინააღმდეგო არავის არაფერი აქვს. ეს უბრალოდ შეხვედრაა. ბრიუსელის შეხვედრების შემდეგ ნატოს საპარლამენტო ასამბლეის თბილისში სტუმრობა კი გზავნილია, რომ ნატოს სურს საქართველოსთან ახლო ურთიერთობა, რასაც ერთ დღეს ალიანსში საქართველოს სრულფასოვანი წევრობა მოჰყვება.

– თუ შეიძლება, მოკლედ შეაჯამეთ ნატო-საქართველოს ურთიერთობა. რას უნდა ველოდოთ ორმხრივ ურთიერთობაში სამომავლოდ?

– ურთიერთობა მჭიდროა. ქართველებმა უნდა იამაყონ, რომ ასე დაუახლოვდნენ ნატოს, მიუხედავად იმისა, რომ ალიანსის წევრები არ გამხდარან. მესმის, როგორი იმედგაცრუებული შეიძლება იყოს ქართველი ჯარისკაცი, ან რიგითი მოქალაქე იმით, რომ გაწევრების გზაზე, ერთი შეხედვით, პროგრესი არ ჩანს. ჩემთვის, შესაძლოა, ადვილი იყოს ამის თქმა, მაგრამ მინდა გთხოვოთ, არ დაკარგოთ მოთმინება და განაგრძოთ წინსვლა, რადგან თავის დროზე თქვენ იქ მიხვალთ. 90-იანი წლების დასაწყისში სასაცილოდ არ ეყოფოდათ იმაზე საუბარი, რომ 10-15 წლის შემდეგ ესტონეთი, პოლონეთი, უნგრეთი ნატოში გაწევრდებოდნენ. მჯერა, რომ საქართველოს მომავალი ევროატლანტიკურ თანამეგობრობაშია. საქართველოს ხალხმა ეს დაამტკიცა, საქართველოს მთავრობათა წარმატებებმა კარგი საფუძველი შექმნა. დროა საჭირო, მაგრამ ვფიქრობ, საქართველო მიაღწევს მიზანს.

– და ბოლო შეკითხვა – თქვენ ახლახან მონაწილეობდით განხილვაში, რომელიც სამხრეთი კავკასიის გამოწვევებსა და შესაძლებლობებს მიეძღვნა. რას უნდა მიაქციოს ტრამპის ადმინისტრაციამ ყურადღება?

– ადმინისტრაციამ სამხრეთი კავკასია შეერთებული შტატების დიდი სტრატეგიის ნაწილად უნდა აღიაროს, სტრატეგიისა, რომელიც ჩვენი კონკურენტებისა და მტრების მიმართ ამერიკის დამოკიდებულებას განსაზღვრავს. რეგიონში ძალიან აქტიურობენ რუსეთი, ირანი, ჩინეთი. შეერთებულ შტატებს კი უკანა რიგის მაყურებლის ადგილი უჭირავს. ვფიქრობ, რეგიონში ბევრი ელოდება, რომ აშშ გააქტიურდება. მიმაჩნია, რომ ამერიკის მეტი ჩართულობა ჩვენ ეროვნულ ინტერესებს განამტკიცებს. რაც შეეხება გამოწვევებსა და შესაძლებლობებს, **საქართველოს მსგავს ქვეყანაში გამოწვევად რჩება ქვეყნის საძვეებში რუსეთის ჩარევა. რუსეთი აგრძელებს თქვენი ქვეყნის ოცი პროცენტის ოკუპაციას.**

მიშა უკრაინაში „ბუინობს“

კიევში მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერებსა და ეროვნული გვარდიის წევრებს შორის შეხლა-შემოხლა მოხდა. სააკაშვილის მხარდამჭერები იუსტიციის სამინისტროში „მიხეილ სააკაშვილის ახალი ძალების მოძრაობის“ პარტიად დასარეგისტრირებლად მივიდნენ, თუმცა მათი თქმით, სამინისტრო უარს ეუბნება.

მომიტინგეები რეგისტრაციას ითხოვენ და მიტინგს მართავენ. მათ სამინისტროს შენობაში შესვლაც სცადეს, თუმცა ეროვნული გვარდიის წევრებმა გზა გადაუღობეს.

ცხინვალი დონეცკსა და ლუგანსკში საელჩოებს გახსნის

ამის შესახებ სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ლიდერმა ანატოლი ბიბილოვმა განაცხადა. მისივე თქმით, საელჩოსთვის შენობა დონეცკის სეპარატისტულ რეგიონში უკვე გამოიყო.

უახლოეს ხანებში კი შენობა სამხრეთ ოსეთის საელჩოსთვის ლუგანსკშიც გამოიძებნება. ბიბილოვის თქმით, დონეცკის დე ფაქტო რესპუბლიკის საელჩოსთვის შენობა შეირჩევა ცხინვალშიც.

ყველაფერი გამარჯვებულ პარტიას – კომუნისტები სხვას კი არაფერს აკეთებდნენ, ძმაო

„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერმა ირმა ინაშვილმა მმართველ გუნდს დაპირებების შესრულებისკენ მოუწოდა. თბილისში, მთაწმინდის მოსახელობასთან საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვის დროს, ინაშვილმა წარმოდგენილი ცვლილებები კომუნისტურ რეჟიმს შეადარა.

„არ მიყვარს მიხვეულ-მოხეული საუბარი, თუ ჩვენ გავედით პირველ ადგილზე, მე მაინც არ დავუჭერ მხარს წარმოდგენილ ცვლილებას, რომ მთელი ხმები მე მივიღო. ეს არ არის დემოკრატიული პრინციპი. პრეზიდენტს თქვენი შერჩეული ხმოსნები აირჩევენ, თქვენი პარტია დანიშნავს პრემიერს, თქვენი პარტია დააკომპლექტებს მთავრობას. კომუნისტები სხვას კი არაფერს აკეთებდნენ, ძმაო,“ – მიმართა მმართველ გუნდს დეპუტატმა. პროექტს კანონმდებლები მოსახლეობასთან ერთად გუშინ თბილისის რამდენიმე რაიონში, მთაწმინდაზე, ვაკეში, დიდუბეში, ჩუღურეთსა და ისან-სამგორში განიხილავდნენ.

„რუსეთის ჯავახკის დიასპორა“ შორს იყურება

სეპარატისტული ორგანიზაცია „რუსეთის ჯავახკის დიასპორის“ ხელმძღვანელი აგასი არაბიანი რუსეთში სომხეთის ახალ ელჩს ვარდან ტოგანიანს შეხვდა. საელჩოს მის ოფიციალურ გვერდზე ამ შეხვედრის შესახებ ინფორმაცია არ განუთავსებია და მის შესახებ დღემდე არაფერი იქნებოდა ცნობილი, რომ არა გამოცემა „Eadaily“-ს მიერ გამოქვეყნებული სტატია. მასში ნათქვამია, რომ შეხვედრა მოსკოვში „რუსეთის ფედერაციაში სომხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მიწვევით“ გაიმართა.

ცნობისთვის: „რუსეთის ჯავახკის დიასპორა“ ღიად სეპარატისტული მიზნების მქონე ორგანიზაციაა, რომელიც სამცხე-ჯავახეთის რეგიონის საქართველოსგან გამოყოფასა და სომხეთთან მიერთებას პროპაგანდირებს. მის ლიდერ აგასი არაბიანს საქართველოში შემოსვლა აკრძალული აქვს. ამასთან, არაბიანი ხშირი რესპონდენტია რუსული მედიასაშუალებებისა, რომელთა გვერდებზეც ამ იდეის პროპაგანდირებას ეწევა. ერთ-ერთ ბოლო სტატიაში სათაურით „სიცოცხლის გზა“ იგი აცხადებს:

„ევროკავშირთან ურთიერთობებში დაძაბულობის ზრდის, ალტერნატიული ლოჯისტიკის გაჩენისა და ოფიციალური თბილისის მიერ ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს დრეიფის გაგრძელების (იმ დროს, როდესაც მოსახლეობის შეხედულებები რუსეთის სასარგებლოდ იცვლება), ასევე აჭარაში თურქეთის მუშაობის აქტივიზაციის პირობებში შესაძლოა, ჩამოყალიბდეს ოპტიმალური გარემო ექსპერტების მიერ უკვე დიდი ხნის წინ გააზრებული სცენარის რეალიზებისთვის, რომელიც ამჟამინდელი საქართველოს ფედერალური პრინციპით მოწყობას ითვალისწინებს ჯავახკის სომხების, მარნეულის რაიონის აზერბაიჯანლების, ყაზბეგის რაიონის ოსებისა და დასავლეთ საქართველოს მეგრელების უფლებების გათვალისწინებით, რაც რუსეთიდან, აფხაზეთიდან, „ალანიის სახელმწიფოდან“, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან ჰუმანიტარული და ეკონომიკური მხარდაჭერით უნდა განხორციელდეს“.

არაბიანის სომხეთის ელჩთან შეხვედრის შესახებ ინფორმაციის მედიაში გაჟონვამ ინტერნეტ-ფორუმებზე სომეხი ბლოგერების უკმაყოფილება გამოიწვია. საიტ „ნოსევ კოვჩეგ“-ზე გამოქვეყნებული ამ მასალის ქვეშ განთავსებული კომენტარებიდან ერთ-ერთში ნათქვამია: **„ამ ამბის მთელი მსოფლიოსთვის მოდება არ ღირდა – შეიძლება, ქართველებმა შეამჩნიონ“.**

რა იგეგმება მოსკოვში საქართველოს წინააღმდეგ

თავად სტატიას რომ დავუბრუნდეთ, შეხვედრის ფაქტის ასახვის შემდეგ ავტორი წერს:

„სომხეთმა საქართველოს სომხებით დასახლებული რეგიონის – ჯავახკის მიმართ სათანადო ინტერესის გამოხატვა დაიწყო. როგორც „რუსეთის ჯავახკის დიასპორის“ პრესსამსახურში განგვიცხადეს, შეხვედრაზე ვარდან ტოგანიანმა ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციის „მნიშვნელოვანი როლი აღნიშნა ევრაზიულ სივრცეში ინტეგრაციისა და ეროვნულ-კულტურული იდენტობის, რუსეთ-სომხეთის ურთიერთობების გაფართოებისა და გარღმავების თვალსაზრისით სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში“ და განაცხადა, რომ მომავალშიც იმედი აქვს იმ საზოგადოებრივი გაერიანებების აქტიურობისა, რომლებიც რუსეთის სომხობას წარმოადგენენ და მის წინაშე მდგომი მიზნების მისაღწევად ძალისხმევის კონსოლიდაციას ემსახურებიან“.

„სომხეთის ინტერესი საქართველოში მიმდინარე პროცესების მიმართ ბუნებრივია და შეიძლება, ითქვას, დაგვიანებულიც კი, განსაკუთრებით თურქულ-აზერბაიჯანული ტანდემის რეგიონულ ეკონომიკურ და სამხედრო-პოლიტიკურ პროექტებში საქართველოს სახელმწიფოს მჭიდრო ინტეგრაციის ფონზე. სომხეთის იზოლაციაზე მიმართულ პროექტებში თბილისის ჩართულობის ხარისხი საგრძნობლად იზრდება. საქართველოზე გამავალი რკინიგზა, ნავთობ და გაზსადენი უკვე გვერდს უვლის სომხეთს. სომხეთის მიმართ თურქეთისა და აზერბაიჯანის დამოკიდებულებისა და ზემოაღნიშნული პროექტების პოლიტიკური მიმართულების გათვალისწინებით, ქართულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ლანდშაფტებში ანკარისა და ბაქოს პოზიციების გაძლიერებამ შესაძლოა, ერევნისგან თბილისის დისტანცირება განაპირობოს. არადა, საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანის თანამშრომლობა არა მარტო ღრმავდება, არამედ ინსტიტუციონალურ კონტურებს იძენს და ნელ-ნელა სამხედრო სიბრტყეში გადადის. უკვე რამდენიმე წელია, მოქმედებს სამხედრო წვრთნების სამმხრივი ფორმატი. სამი ქვეყნის თავდაცვის მინისტრების მორიგი მოლაპარაკებები გაიმართა 23 მაისს ბათუმში. მეტიც, ივნისსა და სექტემბერში მხარეები მორიგ სამხედრო სწავლებებს გეგმავენ“, – წერს „Eadaily“.

ამის შესახებ სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი რუბენ საფრასტიანი საუბრობს საქართველოს შიდა საქმეებში სომხურ-რუსული ჩარევის აუცილებლობაზე:

„ამ ფონზე ძალზე საინტერესოა ჯავახკის რეგიონის მიმართ სომხეთის ინტერესი რუსეთში ჯავახკური დიასპორისა და სომხეთის საელჩოს არხებით. როგორც ჩანს, სომხეთისა და რუსეთისთვის იზრდება ჯავახკის მნიშვნელობა, სადაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ რუსული ბაზა იდგა და სამომავლოდ ეს ინტერესი კიდევ უფრო გაიზრდება. საქართველოს ეს სომხურენოვანი რეგიონი ამჟამად ერთადერთი სანდო საყრდენი წერტილია, რომელსაც ძალუძს, საქართველოში თურქეთისა და აზერბაიჯანის ინტერესები დააბალანსოს“.

ნამდვილად „საჭირო ადგილი“

ათი უნიკალური ტუალეტი

„ნებისმიერი ქვეყნის კულტურის შესახებ მსჯელობა საზოგადოებრივი საპირფარეშოების მდგომარეობით შეიძლება“. ვის ეკუთვნის ეს სენტენცია, ამის დადგენა ახლა, ფაქტობრივად, შეუძლებელია, მაგრამ ვინც გინდა ყოფილიყო ის კაცი, სავსებით ცხადია, რომ მას კარგად ესმოდა „საგანი“. ჩვენს დროში კი სავსებითაა შესაძლებელი, რომ ასეთი „საერთო სარგებლობის ადგილები“ ამა თუ იმ ქალაქის თუ მხარის ღირსშესანიშნაობადაც იქცეს, რომელსაც არა მარტო საჭიროების შემთხვევაში ესტუმრებიან ხოლმე, არამედ წმინდა „ტურისტული ცნობისმოყვარეობის“ დასაკმაყოფილებლადაც.

• 1899 წლის სექტემბერში შვეიცარიელი მხატვარი ჯოვანი სეგანტინი, რომელსაც ტრიპტიქის „სიცოცხლე. ბუნება. სიკვდილი.“ დასრულება სურდა, ამ მიზნით მთა შაფბერგზე ალპურ ქოხში განმარტოვდა. ამ ნამუშევარს მხატვარი დაბა პროტრეზინის მახლობლად პარიზის მსოფლიო გამოფენისთვის ამზადებდა, თუმცა კი სიცოცხლე სწორედ ამ ადგილას დაასრულა.

სიცოცხლითა და ბუნებით დატკბობა მსურველებს დღესდღეობითაც შეუძლიათ 2731 მეტრის სიმაღლეზე, სადაც, სურვილისამებრ, ან მთის რესტორანში შეიძლება მიუსხდნენ მაგიდას, ანდა საზოგადოებრივი ტუალეტიდან უცქირონ, რომელიც... სეგანტინის სახელს ატარებს.



• ახალი ზელანდიის ქალაქ კავაკავაში საზოგადოებრივი ტუალეტი ავსტრიელი მხატვრის ფრიდენსტრაიქ ჰუნდერტვასერის ბოლო პროექტია, რომელიც მის სიცოცხლეშივე დასრულდა და ერთადერთია, რომელიც სამხრეთ ნახევარსფეროში განხორციელდა. თუმცა კი ისიც უნდა ითქვას, რომ ამ საზოგადოებრივ საპირფარეშოს გაცილებით ხშირად ფოტოებს უღებენ, ვიდრე დანიშნულებისამებრ იყენებენ.

• ბელიზის ბარიერული რიფის მიდამოებში პაწაწინა კუნძულების ჯგუფი — ესაა დაცული საზღვაო ნაკრძალი, რომელსაც დიდი ხალისით სტუმრობენ დაივინგის და, უბრალოდ, ანკარა წყლებში ბანაობის მოყვარულები. აქ მხოლოდ ოკეანე, ქათქათა თეთრი ქვიშა, პალმები და ორკაბინიანი საპირფარეშოა, რომლითაც, ძირითადად, გამორჩეულად ინტელიგენტი ტურისტები სარგებლობენ.

• ნეპალის მთა ამა-დაბლამი არ არის ჰიმალაის მთათა სისტემაში სიმაღლით გამორჩეული მწვერვალი, თუმცა კი აშკარად ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი სანახავია. ამაში ნებისმიერი კაცი თავისით დარწმუნდება, ვინც ტუალეტიდან გამოსული მას თვალს შეავლებს. ეს საზოგადოებრივი საპირფარეშო იდეალურად დაუდგამთ 4730 მეტრის სიმაღლეზე ევერესტის ფერდობზე მდებარე დაბის ჩუქჰუნგის მცხოვრებთ. ამ შემთხვევაში მთავარი სადარდებელია კაცმა „რაღაც-რაღაცები“ არ მოიყინოს...

• მსოფლიოში ყველაზე დიდი და გამორჩეულად მდიდრულად გაწყობილი საზოგადოებრივი საპირფარეშო ჩინეთის ქალაქ ჩუნცინშია მოწყობილი. ის ანტონიო გაუდის სტილშია აგებული და ორი ათასი კაცის ერთდროულად მომსახურებაზეა გათვლილი. აქ დადგმულია ურჩხულთა თავებისა და ეგზოტიკურ ცხოველთაგამოსახულებიანი პისუარები, ეროტიკული ქანდაკებები, კედლებზე მხიარული ნახატებია, დარბაზებში კი მუსიკა უკრავს... ამით ეს „ფაიფურის სასახლე“ უფრო გასართობ პარკს ჰგავს.



• „ვცდილობთ ჩვენს კლიენტებს ისეთი მომსახურება შევთავაზოთ, როგორსაც ისინი იმსახურებენ“, — ნათქვამია ამერიკელი პორტატული საპირფარეშოების მიმწოდებლის საიტზე, რომელიც თავისი საქონლით მთელ ქვეყანას ამარაგებს, მათ შორის იუტასა და არიზონას შტატებში მონუმენტების ველის ტერიტორიას. კინემატოგრაფიული იერის კლდეთა ნარჩენების ფონზე ხორცისფერი კაბინები საკმაოდ ორგანულად გამოიყურება.

• ბერლინი, რომელიც ზოგადი კულტურის დონით მსოფლიოს ერთ-ერთი გამორჩეული ქალაქია, ავტომატიზებულ და თვითგამწმენდ საპირფარეშოთა ნაკლებობას ნამდვილად არ უჩივის. ამასთან, იქ მე-19-მე-20 საუკუნეთა მიჯნისდროინდელი სამ ათეულამდე ისტორიული ტუალეტია შემორჩენილი, რომელთაც „კაფე „რვაკუთხედებს“ უწოდებენ. ისინი თავდაპირველად მარტო მამაკაცებისთვის იყო განკუთვნილი, თუმცა ამჟამად ზოგიერთ მათგანს ორივე სქესის წარმომადგენლები სტუმრობენ.

• ტუნისის შაით-ელ-ჯერიდის უდაბნოს ხედების ფონზე საზოგადოებრივი საპირფარეშოს ჭრელი კაბინების თავზე წარწერები ყველა „გაჭირვებულს“ შიგნით „კომფორტსა“ და „ნორმალურ კლიმატურ“ პირობებს ჰპირდება. ძველი დამშრალი მარილიანი ტბის ნაპირზე გაშენებული საპირფარეშოები იმ ადგილის შორიახლოსაა გაშენებული, სადაც საქვეყნოდ ცნობილი კინოფილმის „ვარსკვლავური ომების“ ერთ-ერთი ეპიზოდია გადაღებული.

• ტანზანიაში, კილიმანჯაროს მთის

მიდამოებში, ალპინისტური ბანაკი ბარაფუ 4600 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, სადაც რამდენიმე მარშრუტი ერთდება. კარავში გამყინავი ღამისთევის შემდეგ, კილიმანჯაროს მწვერვალამდე (5895 მეტრი) კიდევ 6 საათის გზაა. ამიტომაც უფსკრულის პირას „ლონგ-დროპის“ ტიპის საპირფარეშოში გატარებული რამდენიმე წუთი ის დროა, როცა კაცს გზის გაგრძელებაზე ხელის აღების ბოლო შანსი ეძლევა.

• ყველაზე იდუმალი და, როგორც ჩანს, მსოფლიო საპირფარეშოებში ყველაზე ღია ტუალეტი, ისლანდიაში, ნორდიურლანდ-ეისტრაში, გეოთერმულ სადგურ კროფლასკენ მიმავალი გზიდან მოშორებითაა. ტალახის უზარმაზარი ლაქის შუაგულში შხაპიანი უნიტაზი დგას. შხაპი მოქმედია, თანაც ცხელი წყალიც მოდის, რადგან გაყვანილობა პირდაპირ თერმულ წყაროსთანაა შეერთებული. წყალი ანკარაა, თავად საპირფარეშო კი დიდად პოპულარული ტურისტებში, რომლებიც მას ხელოვნების ობიექტად აღიქვამენ.

მოამზადა
ნინო ალექსანდრიამ

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2017 წლის 21 ივლისს, 12 საათზე, სამგორის რაიონის გამგეობის შენობაში (მისამართი: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი №14) გაიმართება შპს „მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯი“-ს სამედიცინო ნარჩენების გადამმუშავებელი საწარმოს საქმიანობაში შეტანილი ცვლილებების გზშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვა.

საქმიანობა ითვალისწინებს ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ქვემო ალექსეევკას დასახლებაში სამედიცინო ნარჩენების გადამმუშავებელი საწარმოს ფუნქციონირებას.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

• შპს „მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯი“-ს ოფისში - ქ. თბილისი, ქვემო ალექსეევკა, ნავთისხევი;

• შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში - ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზ. 17ა.

დოკუმენტაციასთან დაკავშირებით შენიშვნების მიწოდება შეგიძლიათ შემდეგი პირებისთვის:

• ლევან მჭედლიშვილი - ტელ: 599 103442; E-mail: medsuptech@gmail.com;

• გიორგი ბჟალავა - ტელ: 577 641880; E-mail: goga@gamma.ge;

საზოგადოების მხრიდან შენიშვნების წარმოდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღე.

შპს „მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯი“-ს ადმინისტრაცია

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

სულხან-საბას ქ. №3. 293-13-34; 599 797679

◎ წინ, საქართველო!

ეს ერთი და სხვა მრავალი

საქართველოს პირველმა ჩოგანმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა საფრანგეთის ღია პირველობის პირველი ეტაპი წარმატებით დაძლია. განახლებულ რეიტინგში 63-ე ადგილზე მყოფი ქართველი ჩოგბურთელი მსოფლიოს 32-ე ჩოგანს ჟილ სიმონს დაუპირისპირდა და ფრანგი მეტოქე ოთხ სეტში 1:6, 6:2, 6:4, 6:1 დაამარცხა.

ბასილაშვილი მომდევნო ეტაპზე დღეს 31 წლის სერბს ვიქტორ ტროიცკის (ATP-ის რეიტინგი 35) შეხვდება.

ბადრი იაშვილი

◎ დაბრუნება

„დინამო“ ისევ წყალშია

სპორტკომპლექს „ოლიმპიკში“ წყალბურთელთა ახალი გუნდის პრეზენტაცია გაიმართა. თბილისის „დინამო“ ქართულ წყალბურთს 22 წლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა.

ახალი გუნდის წარდგენას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი, საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი დავით რურუა და საქართველოს ნაკრების მოთამაშეები — ზურაბ რურუა, მიხეილ ბაღათურია და გიორგი ხვედელიანი დაესწრნენ. „დინამო“ საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრებითა და უცხოელი მოთამაშეებით დაკომპლექტდა. გუნდის კაპიტანი ზურაბ რურუა იქნება, რომელიც ამავდროულად ეროვნული გუნდის კაპიტანიც გახლავთ.

გუნდის მიზანი საქართველოს ჩემპიონატში ასპარეზობის გარდა ჩემპიონთა ლიგაზე თამაშია. „დინამოს“ უდიდესი ტრადიციები აქვს, 1938 წელს დაფუძნდა და საქართველოს სახელით მოთამაშემ სსრკ ხალხთა სპარტაკიადებში 3-ჯერ ვერცხლის (1956, 63, 79) და 2-ჯერ (1959, 67) ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრა.

„დინამოს“ წყალბურთელები საბჭოთა კავშირის ნაკრებში დიდი წარმატებებით თამაშობდნენ. პირველი თაობის წარმომადგენელთა შორის გამოირჩეოდა ნოდარ გვახარია. მან პირველმა მოიპოვა ოლიმპიური თამაშებისა (1956, ბრინჯაო) და ევროპის ჩემპიონატის (1958, ბრინჯაო) მედლები, პირველს მიენიჭა სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება (1960).

„დინამოს“ სპონსორები არიან სპორტული დარბაზი „წრე“ და „Gelift“-ი.

ტარიელ ხეჩიკაშვილი: „მისასალმებელია ნაკრების წევრთა ასეთი წამოწყება — ისტორიული კლუბის აღდგენა. ეს ყველაფერი გაზრდის კონკურენციას და აამაღლებს ეროვნული ჩემპიონატის დონეს. იმედი მაქვს „დინამოს“ წარმატებები საერთაშორისო სარბიელზეც ექნება. ჩვენის მხრივ, მაქსიმალურად დავეხმარებით და მხარს დავუჭერთ ამ პოპულარული გუნდის განვითარებას, რომელსაც ქართული წყალბურთის მატიანეში ყოველთვის გამორჩეული ადგილი ეკავა“.

კობა კობახიძე

◎ ფეხბურთი

უკრაინელი ზღვისპირეთში

ბათუმის „დინამოს“ ახალი თავკაცი ჰყავს — ზღვისპირელებს ამიერიდან უკრაინელი სპაციალისტი კონსტანტინ ფროლოვი გაწვრთნის.

მან ახალ გუნდთან ერთად ვარჯიშის ჩატარება უკვე მოასწრო.

44 წლის ფროლოვისთვის საქართველო და მეტწილად, აჭარა, უცხო ადგილი არაა — 2014-2015 წლების სეზონში სამი თვის განმავლობაში იგი ქობულეთის „შუქურას“ ედგა სათავეში, მანამდე კი ყაზახეთის 17-წლამდელთა ნაკრების მესაჭე იყო.

უკრაინელი, რომელმაც მთავარი მწვრთნელის პოსტზე რამდენიმე კვირის წინათ დათხოვილი ლევან ხომერიკი შეცვალა, განსაკუთრებული სამწვრთნელო წარმატებებითა და გამოცდილებით ვერ დაიკვეხნის.

გიორგი შოთაძე

◎ ჭადრაკი

ქართული ათეული ევროპაზე

დღეიდან 10 ივნისის ჩათვლით ბელარუსის დედაქალაქი მინსკი ვაჟთა შორის ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატს უმასპინძლებს, რომელშიც 300 მოჭადრაკე მონაწილეობს. მათ შორის ათი ქართველიცაა. ესენი არიან:

(6) ბაადურ ჯობავა (2713 ქულა),
(80) მიხეილ მჭედლიშვილი(2605),
(95) ლევან ფანცულაია (2594),
(104) დავით ჯოჯუა (2581),
(116) ლუკა პაიჭაძე (2568),
(122) თამაზ გელაშვილი (2563),
(129) ზურაბ სტურუა (2555),
(156) თორნიკე სანიკიძე (2518),
(250) მერი არაბიძე (2374),
(265) ნოე თუთისანი (2347).

ასპარეზობა შვეიცარიული სისტემით 11 ტურად ტარდება. ჩემპიონატის საპრიზო ფონდი 100 000 ევროა. აქედან ყველაზე მეტს საპრიზო ადგილებზე გასული მოჭადრაკეები მიიღებენ . ჩემპიონი- 20 000, მეორე ადგილზე გასული-15 000, ბრინჯაოს მედლის მფლობელი-10 000. თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობით უკეთესი მაჩვენებლების მქონე მოჭადრაკე ისარგებლებს. 4 ივნისი დასვენების დღეა.

გეჟან დოლიძე

◎ მოვლენის წინ

უმცროსი ბორჯღალოსნები და მათი მეტოქეები

დღეიდან 18 ივნისის ჩათვლით თბილისსა და ქუთაისში გასამართი „მსოფლიო რაგბის“ 20-წლამდელთა ჩემპიონატის სტარტზე წარმოგიდგენთ „გ“ ჯგუფის მონაწილე გუნდებს.

აქ მასპინძლები, უმცროსი ბორჯღალოსნები არგენტინის, სამხრეთ აფრიკისა და საფრანგეთის ნაკრებების წინააღმდეგ ითამაშებენ. შეხვედრები ავჭალის სარაგბო სტადიონზე გაიმართება და უმცროსი ბორჯღალოსნების მატჩები 18 საათზე დაიწყება.

ოფიციოზი

არგენტინა
2017 წლის განთესვა: 3
საუკეთესო შედეგი: მესამე ადგილი (2016)
უარესი შედეგი: მე-11 (2009)
20-წლამდელთა ჩემპიონატზე: 45 თამაში: 23 მოგება - 22 წაგება
975 ქულა, 108 ლელო
ეროვნულში დაწინაურდა 57 მორაგბე
საუკეთესო შედეგის მქონე მორაგბე: მარტინ ლანდახო (65 ტესტი)
შევნიშნოთ: არგენტინელი მოთამაშეების დიდი ნაწილი, რომლებიც 20-წლამდელთა ჩემპიონატში თამაშობენ, კარიერას ეროვნულ ნაკრებში აგრძელებენ. მათ შორის არიან ნიკოლას სანჩესი, მარტინ ლანდახო და ტომაშ კუბელი, რომლებმაც 50 კეპზე მეტი მოიხვეჭეს.
მწვრთნელი: გასტონ კონდე
კაპიტანი: ტომას მალანოსი
ვის დავაკვირდეთ: მარკოს კრემერს
უდიდესი ტალანტი, რომელსაც შეუძლია როგორც მეორე, ასევე მესამე ხაზში თამაში. კრემერი იყო ერთ-ერთი გამორჩეული იმ არგენტინის შემადგენლობაში, რომელმაც 20-წლამდელთა ჩემპიონატზე საუკეთესო შედეგი აჩვენა, ორჯერ დაამარცხა სამხრეთი აფრიკა და მესამე ადგილი დაიკავა. მან უკვე ითამაშა არგენტინა XV-ის შემადგენლობაში ამერიკის ჩემპიონატში და ეროვნულ გუნდში დებიუტი მსოფლიოს ჩემპიონის, ახალი ზელანდიის წინააღმდეგ ოთხი ერის გათამაშებაში ჰქონდა. მას ზე-რაგბიში თამაშის გამოცდილებაც აქვს და ეროვნული გუნდის თავკაცი დანიელ ურკადე მისი დიდი ქომაგია.

სამხრეთი აფრიკა
2017 წლის განთესვა: 4
საუკეთესო შედეგი: ჩემპიონი (2012)
უარესი შედეგი: მეხუთე (2011)
20-წლამდელთა ჩემპიონატზე: 45 თამაში: 33 მოგება - 12 წაგება
1 745 ქულა, 236 ლელო
ეროვნულში დაწინაურდა 24 მორაგბე
საუკეთესო შედეგის მქონე მორაგბე: პეთ ლემბი (56 ტესტი)
შევნიშნოთ: 2014 წლის 20-წლამდელთა ჩემპიონატის დრამატულ ფინალში სამხრეთი აფრიკა ინგლისთან 20:21 დამარცხდა, თუმცა, ანდრე პოლარდი წლის საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშედ აღიარეს და იმავე წელს შოტლანდიის წინააღმდეგ ეროვნულ გუნდში ჰქონდა დებიუტი.
მწვრთნელი: ჩინ რუ
კაპიტანი: ერნსტ ფან'რეინი
ვის დავაკვირდეთ: ქერვინ ბოშს
უნიჭიერესი მოთამაშე, რომელსაც ბევრი „ქურციკების“ შემადგენლობაში ხედავდა საფრანგეთთან გასამართი ტესტ-მატჩებისთვის. შარშანდელ 20-წლამდელთა ჩემპიონატში ის საიმედო იყო დაცვაში და სახიფათო შეტევაში. ბოში სახიფათოა ბურთით ხელში, კარგად თამაშობს ფეხით როგორც ტაქტიკურად, ასევე კარში დარტყმისას. წელს მან „შარქსის“ შემადგენლობაში ზე-რაგბიში ითამაშა და სამხრეთ აფრიკული გუნდის ერთ-ერთი ნათელი წერტილი იყო.

საფრანგეთი
2017 წლის განთესვა: 9
საუკეთესო შედეგი: მეოთხე ადგილი (2011, 2015)
უარესი შედეგი: მეცხრე (2016)
20-წლამდელთა ჩემპიონატზე: 45 თამაში: 29 მოგება — 16 წაგება
1 224 ქულა, 152 ლელო
ეროვნულში დაწინაურდა 40 მორაგბე
საუკეთესო შედეგის მქონე მორაგბე: იოან მაესტრი (56 ტესტი)
შევნიშნოთ: პიერ ბერნარი რეკორდსმენია ერთ მატჩში გატანილი ქულების მიხედვით. 2009 წელს უელსთან მე-5 ადგილისთვის გამართულ პლეი ოფში მან 33 ქულა მოაგროვა.
მწვრთნელი: ფილიპ ბოერი
კაპიტანი: ფლორიან ვერეგე
ვის დავაკვირდეთ: რომენ ნ'ტამაკს
მგეზავს 18 წელი მხოლოდ ამ თვის დასაწყისში შეუსრულდა, თუმცა, როგორც ჩანს, ისეთივე ნიჭის პატრონია, როგორითაც მამამისი, საფრანგეთის ნაკრებისა და „ტულუზის“ ლეგენდა ემილი იყო დაჯილდოებული. 20-წლამდელთა გუნდში მას დებიუტი წლევანდელ ექვს ერზე ჰქონდა და მაშინვე მოექცა ყურადღების ცენტრში. რომენი მოჩვენებასავით ძვრება თავისუფალ სივრცეებში. ფეხით ზუსტი დარტყმების პროცენტით ვერ დაიკვეხნის, თუმცა, ასაკთან ერთად ესეც აუცილებლად მოვა და საფრანგეთი უდავოდ ნიჭიერ მორაგბეს მიიღებს.

საქართველო
2017 წლის განთესვა: 10
საუკეთესო შედეგი: მეათე ადგილი (2016)
უარესი შედეგი: 10 (2016)
20-წლამდელთა ჩემპიონატზე: 5 თამაში: 1 მოგება - 4 წაგება
58 ქულა, 7 ლელო
ეროვნულში დაწინაურდა 34 მორაგბე (3 ჩემპიონატიდან, 31 ალაფიდან)
საუკეთესო შედეგის მქონე მორაგბე: ლაშა ხმალაძე (53 ტესტი)
შევნიშნოთ: ვასილ ლობჟანიძე გახდა მსოფლიო თასების ისტორიის ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე, 8 თვის შემდეგ კი პირველად ითამაშა 20-წლამდელთა ჩემპიონატში.
მწვრთნელი: ილია მაისურაძე
კაპიტანი: ილია სპანდერაშვილი
ვის დავაკვირდეთ: გელა აფრასიძეს
საქართველო დაჯილდოებულია ნიჭიერი და ახალგაზრდა შერკინების ნახევარმცველებით. ვასილ ლობჟანიძე საქვეყნოდაა ცნობილი, როგორც მსოფლიო თასების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე, თუმცა, გელა აფრასიძის შესაძლებლობებს ბორჯღალოსანთა მთავარი მწვრთნელი მილთონ ჰეიგი ასევე მაღალ შეფასებას აძლევს და უახლოეს წლებში 9 ნომრის პოზიციაზე დიდი კონკურენცია იქნება.

აფრასიძისთვის ეს მეორე 20-წლამდელთა ჩემპიონატია და შეუძლია ამ ტურნირში მესამედაც ითამაშოს, რადგან 20 წელი იანვარში უსრულდება. მას მგეზავადაც შეუძლია თამაში, წლის დასაწყისში კი რაგბი ევროპის ჩემპიონატზე ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ჰქონდა დებიუტი და ეს გამოცდილება ახალგაზრდა ბორჯღალოსნებს მომდევნო სამ კვირაში ძლიერ წაადგება.

კობა კობახიძე

◎ სულიერება

დოდო და დავით გარეჯელები

31 მაისს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს დოდო გარეჯელის ხსენებას. ეს დღესასწაული გარდამავალია და აღინიშნება ამაღლების შემდეგ ოთხშაბათს.

დოდო გარეჯელის შესახებ ძალიან ძუნწი ცნობები მოგვეპოვება. მას დაუარსებია დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი (დოდორქა). დოდო კახეთის მკვიდრი ყოფილა და დავით გარეჯელის ღვაწლის გახმაურების შემდეგ გადაუწყვეტია თავისი ბედი დავითის მიერ საფუძველჩაყრილი მონასტრისთვის დაეკავშირებინა: „და ვითარცა განმრავლდეს ძმანი და ესმა ჰამბავი მისი წმიდისა და ღირსისა მამისა დავითისსა“.

* * *

ამაღლების შემდგომ ხუთშაბათს აღინიშნება დავით გარეჯელის ხსენება. მამადავითობაც გარდამავალი დღესასწაულია...

მამადავითობა თბილისში განსაკუთრებული დღესასწაულია; ამბობენ, თურმე, თავდაპირველად კლდოვან ფერდობზე გამოუქვაბავს ერთ-ერთ ასურელ მამას დავითს ეს ქრისტიანული სამლოცველო, რომელსაც დღესაც „მამა დავითის“ ეკლესიას ეძახიან.

გიული ლიპარტია

სუიციდამდე დატოვებული წერილი

სასტუმრო „არმაზის“ მფლობელმა ზაზა ართმელაძემ, რომელმაც თავი მოიკლა, თვითმკვლელობამდე წერილი დატოვა. ოჯახმა ეს წერილი გაასაჯაროვა. ართლემიძის ოჯახმა და ადვოკატმა განცხადება გააკეთეს. ისინი ამბობენ, რომ მათი ოჯახის მიმართ დისკრიმინაცია წლების განმავლობაში ხორციელდებოდა. სასტუმროს მეპატრონეები ამას, მათი ქონებით დაინტერესებას უკავშირებენ, თუმცა კონკრეტულ პირებს არ ასახელებენ. ზაზა ართლემაძის მამა ხასან ართმელაძე არ გამორიცხავს, რომ სასტუმრო 2015 წელს მიზანმიმართულად დაწვეს, თუმცა ვინ, ამის შესახებ არ საუბრობს. ოჯახი როგორც სისხლის სამართლის საქმეზე, ასევე სამოქალაქო დავაზე ბრძოლას გააგრძელებს. ადვოკატის განცხადებით, სისხლის სამართლის საქმეზე დავა, რაც უსაფრთხოების წესების დარღვევას ეხება, ჯერ არ დასრულებულა. რაც შეეხება სამოქალაქო დავას, სასტუმროს მეპატრონეებს პროკრედიტ ბანკი ოჯახს 300 ათას დოლარზე მეტს ედავება. ოჯახს სასტუმრო ბანკში ჰქონდა ჩადებული, ხანძრის შემდეგ შექმნილი ფინანსური პრობლემების გამო კი, სასამართლომ ქონება პროკრედიტ ბანკს მიაკუთვნა.

რაც შეეხება ზაზა ართმელაძის წერილს, ის გუშინ საღამოს ბიბლიაში იპოვეს: **„იმ ავბედით დღეს, როდესაც სამი ბავშვი დაიღუპა, სამწუხაროდ, მიშველების საშუალებაც არ მომეცა, რისთვისაც სიცოცხლესაც არ დავიშურებდი, მთელი ჩემი არსებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ძებნა დაიწყო გარეთ ქუჩაში, ბაღში, ზღვის პირას. ჩემი ოჯახის უფროსი, რა თქმა უნდა, მე ვიყავი და ვასრულებდი პირნათლად იმ ტურისტულ საქმეში, რითაც ოჯახი იყო დაკავებული. რაც ევალება ალბათ, ოჯახში მამას, კაცს. საქმის ვითარება სამწუხაროდ, ისე მიდის, რომ ჩვენ გვადანაშაულებენ ბავშვების დაღუპვაში, თუმცა სასამართლოზე მოწმეთა**



დაკითხვებიდან ნათლად იკვეთება ყველაფერი. ვინ გაექცევა იმ ცოდვას ღმერთის წინაშე, ვინც ტყუილს იტყვის და ვინმესკენ გადაიხრება, როდესაც სამი პატარა ბავშვია დაღუპული. მჯერა, რომ სიმართლე დადგინდება! იმ მუხლთან ერთად, რითაც კანონი მედავება, სიტყვიერად სასამართლოზე გულგრილობაში და დაუდევრობაშიც კი მე მდებენ ბრალს.“ — ნათქვამია ართმელაძის წერილში.

ის ხანძრის შემდეგ ოჯახის მძიმე ფინანსურ მდგომარეობაზეც წერს. **„ ხანძრისგან ოჯახმა დაკარგა ყველაფერი, რაც მრავალი წლის განმავლობაში ჩვენი შრომით ვაშენეთ. ჩემთვის ძალიან ძნელია ამ ყველაფრის ატანა. უფალს ვევედრები შემინდოს, თუკი რამე არასწორად გადავწყვიტე. მადლობა ყველას დახმარებისთვის, თანადგომისა და თანაგრძნობისთვის. ილოცეთ ჩემთვის“,** — ნათქვამია წერილში.

ქობულეთში სასტუმრო „არმაზის“ მეპატრონემ თავი ორშაბათს მოიკლა. ადგილობრივების თქმით, ცხედარი დამწვარი სასტუმროს შენობაში ნახეს.

2015 წელს სასტუმროში ხანძარს ქ. რუსთავის ქორეოგრაფიული ანსამბლის წევრი 3 ბავშვი ემსხვერპლა. სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევისთვის მეპატრონე დააკავეს.

GEO HOLDING

გადავიხდით თქვენს კრედიტს საქართველოს ნებისმიერ ბანკში.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ ან დაგვიკავშირდით:

ქ. თბილისი, გლდანი, ვეკუას ქ. №12 (მეტრო „ახმეტელის“ მიმდებარე ტერიტორია) ტელ: 557 575 323; 557 575 811

geo-holding.net

სამუშაო საათები:

ორშაბათ-პარასკევი: 10:00-დან 20.00 სთ-მდე

შაბათი-კვირა: 11:00-დან 18:00 სთ-მდე.

საპატრულო პოლიციის უფროსი თანამდებობიდან გაათავისუფლეს

შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს, რომელიც თანამშრომლებს მინისტრმა წარუდგინა:

„შინაგან საქმეთა მინისტრმა საპატრულო პოლიციის თანამშრომლებთან საგანგებო თათბირი ჩაატარა და მათ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ახალი დირექტორი წარუდგინა.

გიორგი მღებრიშვილმა შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობაზე ალექსანდრე ხვადაგიანი დანიშნა. შს მინისტრმა მასთან ერთად საპატრულო პოლიციის პრიორიტეტული მიმართულებები განიხილა, დავალებები მისცა და წარმატებები უსურვა.

„საპატრულო პოლიციაში არსებითი რეფორმა იწყება. ეს ნიშნავს იმას, რომ საკადრო ცვლილებებთან ერთად, რიგი კომპლექსური ღონისძიებები განხორციელდება, რაც საპატრულო პოლიციისთვის ახალი იმპულსი იქნება. ეს ღონისძიებები მოიცავს, ასევე, გადამზადების მასშტაბურ პროგრამას, ახალი სახეების, ახალგაზრდების მოზიდვას და ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვას“, - განაცხადა გიორგი მღებრიშვილმა.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნამდე ალექსანდრე ხვადაგიანი ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის პოსტს იკავებდა“, — ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

სანთელი

გარდაიცვალა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცნობილი პროფესორი, რუსული ჟურნალისტიკის მიმართულების ხელმძღვანელი, საქართველოს პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ჟურნალ „განათლების“ რედაქტორი

ბორის იმნაძე

პროფესორ ბორის იმნაძის მეცნიერული და განსაკუთრებით პედაგოგიური მოღვაწეობა კარგად არის ცნობილი როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მის კალამს ეკუთვნის 150-მდე ნაშრომი რუსული ენის გრამატიკის, სწავლების მეთოდიკის, ჟურნალისტიკამცოდნეობის აქტუალურ საკითხებზე, რომელთაგან ათამდე სახელმძღვანელოა. მისი სამეცნიერო ხელმძღვანელობით დისერტაციები დაიცვა არაერთმა მაგისტრანტმა და დოქტორანტმა.

პროფესორ ბორის იმნაძის გარდაცვალება დიდი დანაკლისია ქართული სამეცნიერო და პედაგოგიური საზოგადოებისათვის.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა
და სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი; ქართული ფილოლოგიისა
და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტი

საზოგადოება „კუს ტბის“ წარმომადგენლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ საზოგადოების ერთ-ერთი უხუცესი წევრის, ყველასთვის პატივსაცემი და საყვარელი ადამიანის

ბორის იმნაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.

მურიკო თოფურიძე, ელიზბარ ლომინაძე, გურამ ახრახაძე, თენგიზ კალანდაძე, თემურ ტონია, დავით ზეიკიძე, რომან გვენცაძე, გელოდი კობალაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი ადამიანის

ბორის იმნაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

მეუღლე გურამ ქაშაკაშვილი, შვილები ია, ბენო ქაშაკაშვილები, რძალი თეა ჯოხაძე, სიძეები გოგი უგრეხელიძე, ნიკა ასათიანი, შვილიშვილები სალომე, ზურაბი, ნინო, სოფიკო, ლიზი, ალექსანდრე, ლილე, შვილთაშვილები ანასტასია, ალექსანდრა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლეილა რაჟდენის ასული სულაკაძე-ქაშაკაშვილი

პანაშვიდი 1, 2 VI, მისამართი: ქ. თბილისი, პეკინის ქ. №2, III სადარბაზო, III სართული. დაკრძალვა 3 VI, გამოსვენება 15 სთ. საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.

მშენებლობაზე მუშა დაიღუპა

თბილისში, პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე, მშენებარე კორპუსიდან მუშა ჩამოვარდა. შუახნის მამაკაცი ადგილზევე გარდაიცვალა. შემთხვევა გუშინ მოხდა.

შსს-მ გამოძიება სსკ-ის 240-ე მუხლით დაიწყო, რაც სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს.

ამოღებულია დიდი ოდენობით ნარკოტიკი

შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1992 წელს დაბადებული მ.ა. ნარკოდანაშაულისთვის ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სარფში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას, თურქეთის რესპუბლიკიდან უკანონოდ შემოტანილი 21 აბი „სუბოქსინი“ ამოიღეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

ავტოავარია ბრასაზე

გურჯაანი-თბილისის ცენტრალურ მაგისტრალზე ერთმანეთს სამი ავტომობილი შეეჯახა. დაშავდა სამი ადამიანი. ისინი სხვადასხვა სახის დაზიანებებით გურჯაანის რაიონულ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ავტოსაგზაო შემთხვევის გამო მაგისტრალზე შეფერხებული იყო მოძრაობა.

SIC!

სად გაქრა დიდი მწერლის მემორიალური დაფა?

იყო დრო, როცა სოლოლაკში ასათიანის ქ. №68-ში სახლის ფასადს მემორიალური დაფა ამშვენებდა წარწერით: „ამ სახლში 1920-1961 წ.წ. ცხოვრობდა ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ლევან პართენის ძე გოთუა“. ამ საუკუნეს გადაცილებულ სახლში ცხოვრობდა გოთუების ოჯახი. მაშინ ასათიანის ქუჩას ენგელსის სახელი ერქვა. არავინ უწყის, ზუსტად როდის მოაშორეს სახლის ფასადს ეს მემორიალური დაფა. ცნობისთვის: ამ სახლში მცხოვრებ სხვა გამოჩენილ პიროვნებათა სახელობის დაფები კვლავ ძველებურ ადგილს ამშვენებენ.

პართენ და ლევან გოთუები

ლევან გოთუა, რომელმაც სულ ჭაბუკობაშივე იწვნია საბჭოთა რეპრესიების სისასტიკე, ციხე, გადასახლებები, დამცირება, ამ სახლში მთელი 41 წელი ცხოვრობდა. მამამისი ცნობილი პედაგოგი, მწერალი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში ედპ-ს წევრი, ვლადიკავკაზის ქართული საზოგადოების თავმჯდომარე, თბილისის საბჭოს წევრი პართენ გოთუა ამ სახლში ტრაგიკულად დაღუპვამდე, 1936 წლამდე ცხოვრობდა (იგი 62 წლის ასაკში ტრამვაიმ გაიტანა).

არა მარტო დიდი მწერლის ლევან გოთუას, არამედ ამ შენობას მამამისის პართენ გოთუას მემორიალური დაფაც უნდა ამშვენებდეს. იქნებ ქალაქის მერიისა და საკრებულოს შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებმა აღადგინონ ეს მემორიალური დაფები და არა მარტო ასათიანის ქუჩის მცხოვრებლების, არამედ ყველა ქართველის სურვილი და თხოვნა შეასრულონ. ამით ხომ პატივს მივაგებთ ამ ორი დიდი ადამიანის ხსოვნას.

შოთა კოგიაშვილი,
საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის საგამომცემლო განყოფილების გამგე;
მამუკა ვაშაკიძე,
ჟურნალისტი

სამხრეთ კორეის ტელეკომპანია საქართველოს შესახებ ფილმს იღებს

სამხრეთ კორეის ერთ-ერთი ყველაზე მაღალრეიტინგულ საკაბელო ტელეკომპანია საქართველოს ტურისტული მიმართულების შესახებ ფილმს იღებს. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით, ტელეკომპანია 4KB-ის დოკუმენტური ფილმის გადამღები ჯგუფის 9 წევრი საქართველოს ეწვია. სამხრეთ კორეის ტელეკომპანია საქართველოს შესახებ 1-საათიან დოკუმენტურ ფილმს იღებს. ფილმში განსაკუთრებული ყურადღება ქართულ კერძებსა და ღვინოს დაეთმობა. პრესტურის ფარგლებში მედიის წარმომადგენლებმა თბილისი, მცხეთა, სტეფანწმინდა, სიღნაღი, ბათუმი და საქართველოს სხვა რეგიონები მოინახულეს და ტურისტული ღირსშესანიშნაობები გადაიღეს.

ხელოვანი

საჩუქარი მადლიერების ნიშნად



„ჯერ კიდევ თბილისის სამხატვრო აკადემიის მისაღებ გამოცდაზე მიიპყრო ჩვენი ყურადღება, როგორც უაღრესად ნიჭიერი და განსხვავებული ხედვის ახალგაზრდამ. იმთავითვე, ჩვენს თვალწინ ყალიბდებოდა წარსულის კულტურული მემკვიდრეობის სამაგალითო წარმომადგენელი, შემდგომში კი, უახლესი დინამიკით წარმოჩნდა და განვითარდა ემოციურ-ესთეტიკურობით დატვირთული მისი შემოქმედებითი გზა“ — ამ სიტყვების ავტორი გამოჩენილი ქართველი მხატვარი, მოქანდაკე, საზოგადო მოღვაწე **მერაბ ბერძენიშვილია**, ადრესატი კი საქართველოში დაბადებული და აღზრდილი, — მამით — ბერძენი, დედით — ქართველი, — მოქანდაკე **გელა კესიდი**.

მრავალმხრივ ნიშანდობლივია ცნობილი იაპონელი არტ-კრიტიკოსისა და გალერისტის შუიჩი ტაკაგაკის შეფასება: „გელა კესიდის დიდი ჰუმანიზმით აღსავსე ნამუშევრების მიერ შექმნილ სივრცეზე დაკვირვებისას, ხელოვნების შემფასებლებისა და მაყურებელთა გულებში სიმშვიდე ისადგურებს. იმავდროულად, ნამუშევრები სამყაროსეული სილამაზისკენ მისწრაფებასაც აკმაყოფილებს, — ეს მის სისხლში არსებული ტრადიციების ნაწილი უნდა იყოს, თუმცა, ამასთან ერთად ნამუშევრებს რაღაც აუწერელი თავისებურებაც აქვს. თუ ვეცდებით ამ თავისებურების სიტყვებით გამოხატვას, ალბათ უმჯობესი იქნება თუ ამას აღმოსავლურ-დასავლური სივრცის აღქმის ერთიანობას დავარქმევთ. საგულისხმოა, რომ ბერძენ მოქანდაკე გელა კესიდიში ჩქეფს ქართული სისხლიც. ძალიან პრიმიტიულად შეიძლება ჩაითვალოს თუ ვიტყვით, რომ გელას შემოქმედების თავისებურება იმ ქვეყნის თავისებურებით განისაზღვრება, რომელიც აღმოსავლეთ-დასავლეთის შეხვედრის ადგილას არის განლაგებული. თუმცა, „თავისებურება“, რომელიც მე შევიგრძენი საქართველოში მოგზაურობისას და გელას ნამუშევრებიდან გამოჟონილი „თავისებურება“, ჩემს გულში ერთმანეთს ემთხვევა. ადამიანის მადიდებელი ჰიმნი, რომელიც მის ნამუშევრებში შეიგრძნობა, რომელიც მოგვითხრობს სიხარულსა და მწუხარებაზე, ჟღერს მშვიდად და იმავდროულად ძლევამოსილად“.

თბილისის სამხატვრო აკადემიაში ცნობილი ხელოვანის - გიორგი ოჩიაურის მიერ ხელდასხმული გელა კესიდი, უკვე კარგა ხნის სახელმოხვეჭილი, საერთაშორისო აღიარების მქონე შემოქმედია. მისი ქანდაკებები ამშვენებენ მსოფლიოს არაერთ ქალაქს (ათენი, პარიზი, რომი, ლონდონი, პეკინი და ა.შ.) და გალერეას. გელა კესიდი 25 წელიწადია, რაც ისტორიულ სამშობლოში — საბერძნეთში ცხოვრობს და მოღვაწეობს, თუმცა, ცხადია საქართველოსთან არც პიროვნული და არც შემოქმედებითი კავშირი არ გაუწყვეტია, პირიქით, მის მოღვაწეობაში პრიორიტეტული მნიშვნელობა აქვს მინიჭებული ქართული ხელოვნების საზღვარგარეთ პოპულარიზაციას, ქართულ-ბერძნული ურთიერთობების განვითარებას, რაზეც მისი საქმენი მეტყველებენ.



ამჯერად, გელა კესიდიმ სხვა რაკურსით წარმოაჩინა საკუთარი დამოკიდებულება საქართველოსადმი — თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული მადლიერების ნიშნად თბილისს საჩუქრად გადასცემს თავის ერთ-ერთ საუკეთესო ქმნილებას.

შემოდგომაზე კი, ეროვნულ გალერეაში შედგება მოქანდაკის პერსონალური გამოფენა, გამოიცემა მისი ნამუშევრების ალბომი-კატალოგი. ყოველივე ეს ხორციელდება ასოციაცია “კულტურათა დიალოგი XXI“-ის (პრეზიდენტი — ვალერი ასათიანი) და საქართველოს კულტურის ფონდის (თავმჯდომარე — თამაზ შილაკაძე) მიერ, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების, საზოგადოებრიობის თანადგომით.

ზურაბ ოიკაშვილი

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4256; ევრო - 2.7130;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1150;
100 რუბლი - 4.2947; თურქული ლირა - 0.6784;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4353;
1000 სომხური დრამი - 5.0362.

ამინდი 31 მაისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +11 დღე +29
მთიანი რაიონები - ღამე +4, დღე +22
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +11, დღე +23
მთიანი რაიონები - ღამე +9, დღე +22
თბილისი: ღამე +16, დღე +26

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge